ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 13 დეკემბერი, 2021

№235 (8764)

ფასი: 60 თეთრი

## ახალქალაქში ციხიდან გამოსულმა მამაკაცმა ყოფილი ცოლი და 3 ადამიანი დაჭრა

გვ.5




# „სააკაშვილის დაუსჯელობა ავტომატურად ივანიშვილის დაუსჯელობას ნიშნავს“



## ლაშა ჩხარტიშვილი: „რა გამოდის, ნემსის ქურდი უნდა გავატყავოთ და აქლემის ქურდი თავისუფალი იყოს?!“



გვ.4

## „ტიკარაძე დამსახურებულად გაუშვეს. მას თურნავაც უნდა მიჰყვეს“



გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „რევოლუციონერი მიშა სამხედრო ჰოსპიტალშია გამომწყვდეული, „იმპოტენტი“ ოპოზიცია კი „ოცნებას“ ვერ ერევა“



გვ.3

## „მძიმე 3–4 თვე გველოდება“

სერგო ჩიხლაძე: „ტიკარაძე პანდემიის მართვას გადაჰყვა“

## თამარ ბაჩალიაშვილის მკვლელობა კრიპტოვალუტასა და ქოლცენტრებთანაა კავშირში

გვ.5



## ვახტანგ მაისაია: „პუტინს უკრაინა შიდამოხმარებისთვის სჭირდება“



გვ.4



გვ.3

## სოსო შატბერაშვილი: „ოპოზიციას ვადამდელი არჩევნებიც აღარ აინტერესებს“



## ირაკლი ღარიბაშვილი: „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ჩვენი ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტია“

გვ.2

ISSN 1987-9385

5 მაგდა პაპიძის სარჩელი სტრასბურგმა არ განიხილა

6 ჩეხეთში 60 წელს გადაცილებულთათვის ვაქცინაცია აუცილებელი ხდება

5 „ყველაფერი ნარინჯისფერი ჰუდის გამო დაიწყო“ 15 წლის დავით კრაველიშვილის მკვლელობის ახალი დეტალები

6 ბაიდენი: „რუსეთი უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში საშინელ საფასურს გადაიხდის“

# „ტიკარაძე დამსახურებულად გაუშვეს. მას თურნავაც უნდა მიაყოლონ“

## ლადო სადღობელაშვილი: „რევოლუციონერი მიშა სამხედრო ჰოსპიტალშია გამომწყვდეული, „იმპოტენტი“ ოპოზიცია კი „ოცნებას“ ვერ ერევა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

***– ლადო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? გასული კვირის ბოლოს ჯანდაცვის მინისტრმა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, თუმცა მერე ისიც განმარტა, რომ წლის ბოლომდე ამ თანამდებობაზე რჩება. ბევრი ჭორი და მითქმა-მოთქმა მოვისმინეთ, მათ შორის ტიკარაძესა და პრემიერს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. რას იტყვით ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– რაც შეეხება ქალბატონი ტიკარაძის გადადგომას, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, მისი მინისტრად მოღვაწეობის პერიოდი კარგად დასამახსოვრებელი ნამდვილად არ იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ გახარიას პირობებში მათ ვერ შეძლეს საჭირო ვაქცინების შემოტანა, შემდგომ იყო ფაქტები იმისა, რომ კორუმპირებული გარემო იყო, აი, ამ ე.წ. კოვიდ-სასტუმროებთან დაკავშირებით და ევროპიდან გამოყოფილი თანხების გადანაწილება რატომღაც მარტო ამ უწყებასთან და მინისტრთან დაახლოებულ ბიზნესფენასთან ხდებოდა. გარდა ამისა, ისეთი ჩავარდნები იყო, რომლებიც არ უნდა ყოფილიყო. ეს კარგ მენეჯერს ნამდვილად არ შეეფერება. თუ კარგი მინისტრი ხარ, მაშინ ქალბატონი ტიკარაძე არ უნდა ყოფილიყო ასე დამოკიდებული გამყრელიძესა და იმნაძეზე. პრაქტიკულად, თითზე ჰყავდათ ეს ქალბატონი დახვეული და იმას აკეთებინებდნენ, რაც მათ უნდოდათ.

***– ბოლომდე მათი გავლენის ქვეშ იყო?***

– კი, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად მათი გავლენის ქვეშ იყო და იმას აკეთებდა, რასაც ისინი ეტყოდნენ.

***– ბოლოს ცდილობდა, დამოუკიდებელი თამაში ეთამაშა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი თანამდებობა სწორედ ამას შეეწირა.***

– დიახ, სწორედ მაშინ, როდესაც გადაწყვიტა, დამოუკიდებელი ყოფილიყო, როგორც ჩანს, ორივე მხრიდან გაიპრესა – ერთი მხრივ, მინისტრთა კაბინეტის მხრიდან და, მეორე მხრივ, ამ ბატონების მხრიდან. მე ახლა კულუარული ინფორმაციების გავრცელებას ნამდვილად არ დავიწყებ და არ ვიტყვი იმას, რომ ტიკარაძე ღარიბაშვილთან დაპირისპირებას შეეწირა. ეტყობა, იყო იქ რაღაცები, რაც, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რაც ამ ქალბატონმა ვერ ან არ შეასრულა. მე არ ვიცი, როგორ იყო ეს ყველაფერი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, აღმოჩნდა ისე, რომ დამსახურებულად ეს მინისტრი გულზე არავის არ ეხატებოდა. ერთი ადამიანი არ იყო, რომელიც იტყოდა ტიკარაძეზე, კარგი მინისტრიაო. მაგალითად, სერგეენკოზე იყო საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც ამბობდა, კარგი მინისტრიაო.



***– თუმცა მასაც სერიოზული ჩავარდნები ჰქონდა.***

– დიახ, იქაც წლების განმავლობაში აღმოაჩინეს კორუფციული სქემები. გამოჟონა ამ ინფორმაციებმა და ეს ადამიანიც მოიხსნა. ჩემთვის გაუგებარია, ერთი მხრივ, თუ მიდის ტიკარაძე, მაშინ კონკრეტულ მიზეზს რატომ არ ასახელებს?! ოფისის ტრიბუნიდან აკეთებს ამ განცხადებას და არა სამთავრობო ტრიბუნიდან.

***– ვრჩები პარტიაშიო.***

– კი, ასე თქვა. მერე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ცვლის ღარიბაშვილს. ქალი ჯანდაცვის მინისტრობას ვერ გაუმკლავდა და პრემიერ-მინისტრობას როგორ გაუმკლავდება?! იმას, ვინც ამ სისულელეებს ავრცელებს, ერთი გრამი ტვინი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს თავში!

***– ფაქტია, რომ ის გაუშვეს და საკუთარი ნებით არ წასულა. რა მოხდა?***

– რაც არ უნდა მომხდარიყო, დამსახურებულად არის გაშვებული ეს ქალბატონი. შედეგზე ვისაუბროთ და არა ის მიზეზი ვეძებოთ, რატომ გაუშვეს. იქ ვიღაცას ფული არ გაუყო თუ ვიღაცის ბრძანებას არ დაემორჩილა, ასე კი არ შევხედოთ ამ მოცემულობას. შევხედოთ ასე – ეს ქალი მინისტრობას იმსახურებდა?! იყო ეს ქალი ჯანდაცვის მინისტრის დონის თუნდაც განათლებით? მე მიმაჩნია, რომ არ იყო.

***– არავის არ მოსწონდა და დიდ კრიტიკას იმსახურებდა. მაშინ, რატომ მოიყვანეს და დანიშნეს, იმიტომ, რომ ივანიშვილის ცოლის მეგობარი იყო?***

– ალბათ მაშინ მთავარი მაინც ნდობის ფაქტორი იყო. გვახსოვს გახარიას მინისტრთა საბჭო. გახარიას გარემოცვა... ყველას მოეხსენება, რომ ჯანდაცვის სფერო ერთ-ერთი ყველაზე მაღალბიუჯეტიანი უწყებაა. მაღალი დაფინანსება აქვს ბიუჯეტიდან ამ უწყებას. ეს ფული კიდევ გახარიას რომ ჩაეგდო ხელში, ეტყობა, ივანიშვილს არ აწყობდა. მე ასე შევხედე ამ ყველაფერს. სწორედ ამიტომ დასვა ეს ქალბატონი, როგორც თავისი ნდობით აღჭურვილი პირი, თანაც იმ მინისტრთა კაბინეტში, სადაც ივანიშვილი განიცდიდა გავლენის ნაკლებობას. გახარიას პირობებში ვერ ავრცელებდა თავის გავლენას, დღევანდელ პირობებში კი აღარ არის აუცილებელი ტიკარაძის მინისტრობა.

***– ღარიბაშვილის წასვლაზეც ბევრს საუბრობდნენ...***

– ეგეც აგორებული ჭორი მგონია. ღარიბაშვილმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა. ბოლოს და ბოლოს, ბახტაძე იყო ერთი წელი მინისტრი და, არა მგონია, ღარიბაშვილი უფრო ადრე გაუშვან.

***– ფიქრობთ, რომ არ გაუშვებენ?***

– მე მგონი, ჯერჯერობით ნაადრევია ამაზე საუბარი.

***– ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე ვისი კანდიდატურა არ მოიაზრება, ლევან რატიანით დაწყებული, ამირან გამყრელიძით დამთავრებული, ვინ აღარ დასახელდა. რას იტყვით თქვენ?***

– გავრცელდა ინფორმაციები, რომ რატიანი იქნება, ასევე გამყრელიძე, გაბუნია... რატომღაც უეცრად სოციალურ ქსელში გაჩნდა გამოკითხვები. არასდროს არ ყოფილა არც ერთი მინისტრის დროს, მაინცდამაინც ჯანდაცვის მინისტრის დროს გახდა საჭირო?! აკაკი ზოიძე რომ ვინმეს სდომებოდა ჯანდაცვის მინისტრად, რამდენი ხანია, „ოცნების“ გუნდშია.

***– ისევ ბიძინამ უნდა დანიშნოს, მისი ნდობით აღჭურვილი პირი უნდა იყოს?***

– მინიმუმ ეს ადამიანი უნდა იყოს ღარიბაშვილისთვის ყველაზე სანდო ადამიანი. თუ ღარიბაშვილი იღებს პასუხისმგებლობას ჯანდაცვის მინისტრზე, მაშინ ეს პიროვნება სწორედ ღარიბაშვილისთვის უნდა იყოს ძალიან სანდო. ჯერჯერობით არც ღარიბაშვილს არ გაუშვებენ. მან თავისი თავი ჯერ არ ამოწურა. ასევე საუბარი იყო ამირან გამყრელიძის კანდიდატურაზე. ვისაც ამ ადამიანის მინისტრის მოადგილეობა ახსოვს, როგორ შეიძლება სურდეს, რომ გამყრელიძე იხილოს ჯანდაცვის მინისტრად. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გამყრელიძე ყველაზე მიუღებელი პიროვნებაა. ყველას კარგად ახსოვს მისი კორუმპირებული წარსული.

***– სერიოზული ჩავარდნებია კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩავარდა ვაქცინაციის პროცესი. საჭიროა ისეთი მინისტრი, რომელიც ამ სიტუაციას გამოასწორებსო. მაგრამ გამოსწორებას შეძლებს ვინმე?***

– ჩამოთვლილი ვარიანტებიდან პირველი, ვისი კანდიდატურაც გამახსენდა, არის სერგეენკო. ყველაზე მეტად მისკენ გადავიხარე. რატიანს რაც შეეხება, კი, ის ძალიან კარგი ადამიანია და ბევრს იბრძვის ამ ვირუსის წინააღმდეგ, ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა, მაგრამ მინისტრად ეს პიროვნება ვერ გამოდგება ერთადერთი მიზეზის გამო.

***– რა მიზეზის?***

– ეს ადამიანი არის ნაციონალური მოძრაობის პროდუქტი.

***– იმდენად მძიმე მემკვიდრეობა დახვდება ახალ მინისტრს, შესაძლოა, მსურველი არც ისე ბევრია.***

– მემკვიდრეობა მძიმეა, მაგრამ მსხვილბიუჯეტიანი სამინისტროა. ხომ არ ავიწყდებათ, უფასო მკურნალობას რომ გვპირდებოდა ბატონი ივანიშვილი? სერგეენკოსთან ერთად უფასო ჯანდაცვაც დაიკარგა. ამ ქვეყანას დღესდღეობით ჯანდაცვის სფეროში პატრონი არ ჰყავს. ვერ გამოიძებნა ისეთი პიროვნება, რომელიც ამ სფეროს უხელმძღვანელებს. ყველანაირად ჩალიჩობს გამყრელიძე, რომ გახდეს ჯანდაცვის მინისტრი და, ღმერთმა არ ქნას, ასე მოხდეს. მასზე კორუმპირებული ჩინოვნიკი არ მეგულება.

***– ჯანდაცვის მინისტრის გარდა, კიდევ რამდენიმე მინისტრი შეიცვლებაო. განსაკუთრებით ეკონომიკის მინისტრზეა საუბარი. გაუშვებენ თურნავასაც?***

– ერთ-ერთი ყველაზე უცხო სხეული ამ მინისტრთა კაბინეტში არის ქალბატონი თურნავა. ყველამ კარგად ვიცით, რატომაც მოიყვანეს თურნავა, ძირითადად ნამახვანჰესის პროექტი უნდა განეხორციელებინა, თუმცა არ გამოუვიდა. როგორც ჩანს, ვიღაცას მოეწონა ეს პროექტი და ცდილობს, წაართვას ჩხარტიშვილს. დიდი ალბათობით, თურნავაც შეიცვლება და მოვა ის მინისტრი, რომელიც მოიყვანს ახალ ინვესტორს ამ პროექტისთვის და არა მარტო ამ პროექტისთვის. სხვა მინისტრების ცვლილებას რაც შეეხება, მასშტაბური ცვლილებები რომ იყოს, ამის პირი არ უჩანს. რატომ უნდა შეცვალონ, მშვენივრად გრძნობს თავს ხელისუფლება. მას ჰყავს „იმპოტენტი“ ოპოზიცია და ვერაფერს ვერ აკლებს. რევოლუციონერი მიშა სამხედრო ჰოსპიტალშია გამომწყვდეული და, როგორც სამხედრო დამნაშავეს, მას ყარაულობენ სამხედროები. ეს ოპოზიცია არის იმპოტენტი, ვერაფერი დააკლო ამ მთავრობას და, შესაბამისად, ამ ხელისუფლებასაც ყველაფერში მწვანე აქვს ანთებული. მოსახლეობას აღარ უნდა მოძალადე ხელისუფლების მობრუნება. ეს ყველაფერი კი „ოცნების“ სასიკეთოდ მუშაობს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ჩვენი ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტია“

ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ განცხადებას ავრცელებს:

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცივილიზებული სამყარო შეთანხმდა, რომ აუცილებელი იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საერთაშორისო ძალისხმევის გაძლიერება. სწორედ ამ სულისკვეთებით დაიწერა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო. დეკლარაცია ბუნებითი სამართლის პრინციპებს ეფუძნება და აღიარებს ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებას და თანასწორობას.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით საქართველოს მოსახლეობამ მკაფიო ნება გამოხატა და მხარი დაუჭირა ქვეყანაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას. საქართველოს ახალარჩეულმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა მიმართულებით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პოლიტიკა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სრულად ასახავდეს საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებულ სტანდარტებს. სწორედ ამ მიზნით, 2013 წელს დაიწყო მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაზე, რომელიც პირველ მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ისტორიაში.

2014-2020 წლების საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია ადამიანის უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზების იდეას ეფუძნებოდა და განსაზღვრავდა საქართველოს ხელისუფლების გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს ამ უფლებათა სფეროში უწყებათაშორისი, მრავალსექტორული, ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკის ჩამოყალიბების, „კარგი მმართველობის“ განხორციელებისა და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით.



ამჟამად მთავრობა მუშაობს ადამიანის უფლებათა დაცვის მეორე ეროვნულ სტრატეგიაზე, რომელიც ფარავს უფლებების ფართო სპექტრს და ეხმიანება უფლებების დაცვის კუთხით საერთაშორისოდ მიღწეულ პროგრესს.

საქართველოს ხელისუფლება არის და იქნება გარანტი საქართველოს მოქალაქეთა თავისუფალი ნების გამოხატვის, განვითარების და წინსვლის შესაძლებლობის. ჩვენ გვჯერა, რომ მოსახლეობასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, შევძლებთ დავძლიოთ გამოწვევები და კიდევ უფრო დავაჩქაროთ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია“.



# პრემიერმა ორბელიანის მოედანზე „ბაზარი ორბელიანზე“ გახსნა

ირაკლი ღარიბაშვილმა ორბელიანის მოედანზე „ბაზარი ორბელიანზე“ გახსნა.

პროექტის ჯამური ინვესტიცია 18 მილიონ ლარს აღემატება, რომლის 9 მილიონის სუბსიდირება მოხდა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ დახმარებით. პროექტის ფარგლებში, დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში, 1886 წლიდან მოქმედ შენობას რესტავრაცია ჩაუტარდა. „ბაზარი ორბელიანზე“ სამ სართულზე, ჯამში, 10.000 კვადრატულ მეტრზე თანამედროვე ტიპის აგრარულ ბაზარსა და კვების სივრცეს აერთიანებს.

ადგილზე წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროგრამების ბენეფიციარების მიერ წარმოებული პროდუქცია. პირველი სართული ბაზარს დაეთმობა, სადაც 100-მდე წერტილში სხვადასხვა ტიპის სასურსათო და არასასურსათო პროდუქტი გაიყიდება. ამ ეტაპზე, ბაზარში 100-ზე მეტი მეწარმე და საცალო მოვაჭრეა წარმოდგენილი. მეორე სართული კვების 35 ობიექტს გააერთიანებს.

პროექტის ფარგლებში, უახლოეს მომავალში კულინარიული სკოლა – „ბაზარი გასტრო სკოლა“ ამოქმედდება, სადაც ყველა დაინტერესებულ ადამიანს მასტერკლასებზე დასწრების შესაძლებლობა ექნება.

მთავრობის მეთაური ორბელიანის მოედანზე თბილისის მერთან ერთად იმყოფებოდა. გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძე, პარლამენტის დეპუტატები არჩილ თალაკვაძე და რატი იონათამიშვილი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მძიმე 3–4 თვე გველოდება“

## სერგო ჩიხლაძე: „ტიკარაძე პანდემიის მართვას გადაჰყვა“



იაგო ნაცვლიშვილი

**ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე გადადგა, მაგრამ დარჩა მძიმე ვითარება კოვიდმართვასთან დაკავშირებით. გადადგა არა მაშინ, როდესაც ოპოზიცია და საზოგადოების ნაწილი ითხოვდა მისგან, არამედ მაშინ, როდესაც, როგორც ჩანს, მისი პოზიციები არ მოეწონათ საკუთარ გუნდში. რას შეეწირა ეკატერინე ტიკარაძე, უკავშირდება თუ არა მისი გადადგომა სააკაშვილის ჯანმრთელობაზე მის მიერ გამოთქმულ პოზიციას და რა გველოდება კოვიდმართვასთან დაკავშირებით იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში ახალი შტამი მძვინვარებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი, ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში სერგო ჩიხლაძე საუბრობს.**

***— როდესაც ყველაზე დიდი ჩავარდნა და კოლაფსი იყო პანდემიის მართვასთან დაკავშირებით, მაშინ დატოვეს ეკატერინე ტიკარაძე თანამდებობაზე, მაგრამ გადადგა ახლა, როცა არ იკითხებოდა ასეთი გადაწყვეტილება. რას გადაჰყვა ტიკარაძე?***

— მე ვფიქრობ, რომ ზუსტად პანდემიის ცუდად მართვას გადაჰყვა მისი მინისტრობა. არ მაქვს ილუზია, რომ თვითონ მიიღო ეს გადაწყვეტილება. მას მიაღებინეს ეს გადაწყვეტილება და ფაქტობრივად გადააყენეს. ბოლო 22 თვის განმავლობაში, რაც პანდემიაა საქართველოში, ვხედავთ, რომ ერთმანეთზე უარესი გადაწყვეტილებები მიიღება, არის დაგვიანებული თუ არასწორი გადაწყვეტილებები და, შეიძლება ითქვას, რომ მართვა ჩავარდა. არის ნეგატივი და, შესაბამისად, როგორც ჩანს, „ოცნებაში“ გადაწყვიტეს, რომ ეს ნეგატივი და რეპუტაციული ზიანი ამით გაენეიტრალებინათ.

***— ნეგატივი გადაეყოლებინათ ტიკარაძისთვის?***

— დიახ, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, რომ „განტევების ვაცი“ შეიძლება იყოს ტიკარაძე. მას, რა თქმა უნდა, აქვს პასუხისმგებლობა, იმიტომ, რომ ჯანდაცვის მინისტრი ერთ-ერთი საკვანძო თანამდებობაა პანდემიის მართვის დროს. შესაბამისად, მას ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვს და მის კისერზეა ცუდი მართვის გამო გარდაცვლილი ადამიანების სიცოცხლე. კარგი მართვის, ეფექტური სისტემების აწყობისა და ვაქცინაციის დროულად და ეფექტურად ჩატარების შემთხვევაში ამდენი დაღუპული არ გვეყოლებოდა. 12.500-მდეა დღეის მონაცემებით კოვიდით გარდაცვლილი და აქედან ბოლო 22 თვიდან თითქმის ნახევარი ბოლო 4 თვეშია გარდაცვლილი.

***— მაგრამ ჩნდება კითხვა: რატომ ახლა, თუ მხოლოდ პანდემიის ცუდად მართვას გადაჰყვა? ხომ შეეძლოთ, არჩევნების წინ გაეკეთებინათ და ამომრჩევლის გულიც მოეგოთ ამით?***

— არჩევნების წინ ამას არ გააკეთებდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა იყოს გადაყენების მიზეზი, ეს ნიშნავს აღიარებას, რომ მან თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობებს. ეს შეცდომის აღიარებაა და არჩევნებამდე არ მიიღებდნენ ამ გადაწყვეტილებას. ამიტომ, არის მიღებული ახლა ეს გადაწყვეტილება.

არ გამოვრიცხავ, რომ ეს ასევე პოლიტიკური იძულებითაც იყოს და ტიკარაძეს მიჰყვნენ სხვა მინისტრები, რაღაც პერიოდის შემდეგ პრემიერი და მთლიანად მოხდეს მინისტრთა კაბინეტის გადახალისება.

***— მინისტრთა კაბინეტის ჩამოშლის პროცესი იწყება და ტიკარაძე ამის პირველი ნიშანია?***

— არ გამოვრიცხავ. მარჩიელობას ვერ დავიწყებ, თუმცა ის, რომ ოლიგარქთან ყველაზე მეტად დაახლოებული და პირადად მის მიერ ხელდასხმული მინისტრი გადააყენეს, იმის საფუძველს იძლევა, რომ დავაკვირდეთ, ეს ხომ არ არის „პირველი მერცხალი“ მინისტრთა კაბინეტის გადახალისების პროცესში.

***— ხომ არ გადაჰყვა ტიკარაძე სააკაშვილთან დაკავშირებულ მის პოზიციას ან პრემიერთან დაპირისპირებას?***

— არა მგონია, იმიტომ, რომ მას არანაირი გავლენა არ ჰქონია არც ერთ კონსილიუმზე. პირველი სამედიცინო კონსილიუმი შედგა იუსტიციის სამინისტროს მიერ, მეორე კონსილიუმი სახალხო დამცველის მიერ შედგა, ხოლო მესამე – ალტერნატიული – ცენტრ „ემპათიის“ მიერ. მას არც ერთში არ ჰქონია არანაირი როლი.

***— თუმცა მან ღიად გამოხატა პოზიცია, რომ სააკაშვილი გადაყვანილი უნდა იყოს კლინიკაში და ასევე იტვირთა შუამდგომლობა მთავრობასთან.***

— კი, მაგრამ ეს პოზიცია გამოხატა ბოლოს. მანამდე მას არ ჰქონია ეს პოზიცია. ჯანდაცვის სფეროს ექსპერტები და ექიმები რამდენიმეჯერ მივედით ჯანდაცვის სამინისტროსთან, რომ შეგვხვედროდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ამიტომ გამოვრიცხავ, რომ ის ამას გადაჰყვა. რომელი ჯანდაცვის სპეციალისტი ან ექიმი იტყვის ადამიანზე, არ გადაიყვანოთ კლინიკაშიო, რომელსაც ეს სჭირდება?! ამიტომ ნუ გავაზვიადებთ მის საქციელს და ქალბატონი ტიკარაძისგან სამართლიანობისთვის მებრძოლს ნუ გამოვიყვანთ. ამისთვის არაფერი გაუკეთებია და გამოვრიცხავ, სააკაშვილის თემას გადაჰყოლოდა.

***— ტიკარაძე წავიდა, მაგრამ დაგვიტოვა საკმაოდ მძიმე ვითარება კოვიდმართვასთან დაკავშირებით, მით უმეტეს ვრცელდება ახალი შტამი „ომიკრონი“. რა გველოდება უახლოეს პერიოდში?***

— ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დატოვა, მოშლილი და გაუმართავი სისტემები კოვიდთან ბრძოლის თვალსაზრისით. ადამიანური რესურსებიც კი არ არის, გაურკვეველია, ვინ არის პასუხისმგებელი ვაქცინაციაზე, ტესტირებაზე, ჰოსპიტალური სექტორის მზადყოფნაზე... ანუ სრული აღრევაა, ისევე, როგორც საკოორდინაციო საბჭოში ვინ რაზე აგებს პასუხს. მძიმე მემკვიდრეობა დარჩა და ახალი შტამის მოლოდინის დროს და მაშინ, როდესაც 70% აუცრელია, საკმაოდ მძიმე 3-4 თვე გველის. ძალიან მნიშვნელოვანია კადრები – ვინ იქნება ქალბატონი ტიკარაძის შემცვლელად და მის გუნდად წარმოდგენილი. იქნებიან თუ არა, ტიკარაძისგან განსხვავებით, შერჩეული ის ადამიანები, რომლებსაც მართვის გამოცდილება აქვთ. ამ საკითხებს დიდი მნიშვნელობა ექნება, ასევე იმას, რამდენად ექნებათ ამ ადამიანებს მხარდაჭერა მთავრობისგან. ამას უახლოეს კვირებში დავინახავთ.

***— მთავრობის მხარდაჭერაში იმას გულისხმობთ, რამდენად ექნებათ დამოუკიდებლობა?***

— კი, რამდენად იქნებიან დამოუკიდებლები და კომპეტენტურები. ბევრი გადაწყვეტილება ვნახეთ, რომლებსაც ქალბატონი ტიკარაძე უხმოდ ეთანხმებოდა და არ უნდა დასთანხმდებოდა. შეიძლება თქვას, გუნდში არ ვეთანხმებოდიო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ შედეგების მიხედვით – რა შედეგი დადგა და ვინ რა გადაწყვეტილება მიიღო. ვხედავთ, რომ, გარდა ამ მწვანე პასპორტისა, მას არაფერზე ხმა არ ამოუღია და არ უთქვამს, რომ რამეს ეწინააღმდეგება.

გამოსამშვიდობებელ სიტყვაშიც მას არც ერთ გამოწვევაზე არ უსაუბრია და მხოლოდ ორი დადებითი საკითხი გამოყო. ეს იყო სახელმწიფო ჰოლდინგი, რომლის შექმნაც აბსოლუტურად არ ყოფილა წარმატებული. ვინც შესულია სახელმწიფო ჰოლდინგში, ერთი აღარ არსებობს – თბილისის ონკოცენტრი. თანამშრომლებს ჰქონდათ დავალიანებები და ხელი მოაწერინეს, 2 წელიწადში დაგაბრუნებთ, როდესაც ახალ საავადმყოფოს ავაშენებთო, მაგრამ გავიდა 2 წელი და არც დაწყებულა პროცესი. საბავშვო ინფექციურს შევხედოთ, რა დღეშია და რესპუბლიკურის პოტენციალი არ არის ათვისებული.

მეორე ახსენა სოციალური კოდექსი, რომელიც არის პოსტულატების გროვა, რაც უნდა გაკეთდეს სამომავლოდ. ეს ორი წარმატება ახსენა თავისი მინისტრობის პერიოდში. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ექნება რეალურ ნაბიჯებსა და რეალური პოლიტიკის გატარებას ჯანდაცვის სისტემაში, ასევე – პრინციპულ პოზიციებს.

# „ოპოზიციას ვადამდელი არჩევნებიც აღარ აინტერესებს“

## სოსო შატბერაშვილი: „საქართველოში საარჩევნო ბარიერი 3%-ზე მაღალი არ უნდა იყოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**რატომ მიმდინარეობს საუბარი „ოცნების“ დაშლაზე? რატომ გრძელდება კოვიდკრიზისი? სანამდე გაგრძელდება ნაცმოძრაობის პროტესტი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**



***— „ქართული ოცნების“ მთავრობიდან არაერთი მინისტრი და პრემიერი წასულა, თუმცა ამას ამდენი მითქმა-მოთქმა არ მოჰყოლია, რაც ჯანდაცვის მინისტრ ტიკარაძის განცხადებას ახლავს. საუბრობენ იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ იშლება. თქვენ რას იტყვით?***

— მართლაც, 2012 წლიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ მთავრობა ბევრმა წევრმა დატოვა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრემიერი 6-ჯერ შეიცვალა. არც მაშინ მომხდარა უჩვეულო მოვლენა და არც ახლა, როცა ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ თვის ბოლოს დატოვებს თანამდებობას და დარჩება პარტიის პოლიტსაბჭოში. ევროპის სახელმწიფოებში ამგვარი და სხვა ცვლილებები ხშირია. „ქართული ოცნება“ ამით არ იშლება. რომც დაიშალოს, ესეც არ დააქცევს ქვეყანას.

***— მაშინ, რატომ არის ამდენი ლაპარაკი განხეთქილებასა და რღვევაზე?***

—„ოცნების“ დაშლა „ფანჩატურის ოპოზიციის“ სურვილია, რომელსაც ის რეალობად ასაღებს. ოპოზიციის ეს ერთობა აღარ არსებობს. „ოცნების“ ვითომ რღვევაზე ლაპარაკში კი ეს ოპოზიცია ერთიანია. როგორც გითხარით, მმართველი გუნდი, მმართველი პარტია არ იშლება. რომც დაიშალოს, ამაში სენსაციურს ვერაფერს ვხედავ. მძლავრი საბჭოთა კავშირი დაიშალა. ევროკავშირის რღვევა და ბრექსიტი ახლახან ვიხილეთ. შესაძლოა, ევროკავშირის დაშლა გაგრძელდეს. ნატოც არ არის სამუდამო და, შესაძლოა, ადრე თუ გვიან ეს ორგანიზაციაც გაუქმდეს ან გარდაიქმნას. პარტიების შექმნა-დაშლაც არ არის გასაკვირი. „ქართულ ოცნებას“ ახალი ჯანდაცვის მინისტრის მოძებნა არ გაუჭირდება. საქართველოში უამრავი კვალიფიციური, გამოცდილი ექიმია. მათ შორის არიან მენეჯერები მედიცინის დარგში.

***— კოვიდკრიზისზე რას იტყვით?***

— ჩემი აზრით, ეკა ტიკარაძემ კოვიდპანდემია ვერ მართა. კორონა-19-ით გარდაცვლილთა რიცხვი ძალიან მაღალი გვაქვს. ყოველდღე გულისტკენით ვადევნებ თვალს გარდაცვლილთა სტატისტიკას და ყოველ გარდაცვლილ ადამიანზე მძაფრად ვრეაგირებ. ეს მსოფლიო პრობლემაა, მაგრამ მაინც დაღუპულთა რაოდენობით ძალიან ბევრს ვუსწრებთ და ეს დიდი დარტყმაა საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისათვის. როგორც ჩანს, ტიკარაძის განცხადება გადადგომაზე ამასაც უკავშირდება. არიან სახელმწიფოები, რომლებიც ამ პანდემიას სამაგალითოდ გაუმკლავდნენ. მაგალითად, ჩინეთი, იაპონია.

***— სხვა საკითხებსაც შევეხოთ. ნაცმოძრაობის არაოფიციალური ლიდერი პატიმარია, ნაცმოძრაობა კი აგრძელებს საპროტესტო აქციებს. ამბობენ, რომ ახალი წლის დღესასწაულებზეც არ აპირებენ შესვენებას.***

— ალბათ, მართალს ამბობენ, რომ შესვენებასა და გაჩერებას არ აპირებენ. ნაციონალური მოძრაობის აქტივობა პირდაპირ არის დაკავშირებული ხელფასებზე. სანამ აქტივისტებს ექნებათ ხელფასები და დავალებები სააკაშვილისგან, ისინი არ გაჩერდებიან და არ დაიღლებიან. ეს არის დაფინანსებული აქტივის და არა ხალხის პროტესტი. ხალხი ნაციონალებს არ მიჰყვება. საზოგადოება ქუჩაში გამოდის მაშინ, როცა საჭიროდ მიიჩნევს.

***— სხვა ოპოზიციაზე რას იტყვით?***

— ოპოზიციური ერთობა, რომელსაც ჩვენ „ფანჩატურის ოპოზიცია“ შევარქვით, კარგა ხანია, ერთად აღარ არის. მე და ჩემი თანამოაზრეები მაშინვე ვამბობდით, რომ ეს ერთობა დიდხანს ვერ გაძლებდა. მასში გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა მსოფლმხედველობის პარტიები. მათი ლიდერები ერთმანეთთან იყვნენ დაპირისპირებული. ისინი ერთად დააყენა სიძულვილმა ივანიშვილის მიმართ. ერთობას სიძულვილი ვერ შეინარჩუნებს. ერთობისთვის საჭიროა სიყვარული, ძმობა, ერთობა. დიდი ერთობა დაშლილია. ერთია თანამშრომლობა სამ-ოთხ პარტიას შორის და მეორე – დიდი ერთობა. ხომ ხედავთ, ოპოზიციას ვადამდელი არჩევნებიც აღარ აინტერესებს.

***— ასე გგონიათ?***

— ეს ასეა. მას შემდეგ, რაც პარლამენტის ბოიკოტორება შეწყვიტეს და პარლამენტში შევიდნენ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაივიწყეს. ეს ოპოზიციონერები იღებენ 10.000-ლარიან ხელფასებს, სარგებლობენ პრივილეგიებით და თბილად არიან.

***— ბევრი ოპოზიციონერი ამბობს, რომ თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია საკონსტიტუციო ცვლილებების ბოლომდე მიყვანა. ერთი ცვლილება საარჩევნო ბარიერის დაწევაა.***

— ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით ბარიერის დაწევას. საქართველოში საარჩევნო ბარიერი არ უნდა იყოს 3%-ზე მაღალი. თუკი ვინმე ეწინააღმდეგება ბარიერის დაწევას, ეს ნაციონალური მოძრაობაა. 2020 წელს რომ ყოფილიყო 5%-იანი ბარიერი, პარლამენტში ორადორი ძალა მოხვდებოდა. ნიკა მელიას, ასევე სააკაშვილს ღიად აქვთ გაკეთებული განცხადებები იმაზე, რომ ბარიერმა არ უნდა დაიწიოს.

***— „ქართულ ოცნებას“ აწყობს ზღურბლის დაწევა?***

— „ქართული ოცნებისთვის“ სულ ერთია. უმრავლესობის მიღების შანსი მას აქვს. უმრავლესობა მაინც მისია და პატარ-პატარა პარტიები ხელს არ უშლიან. ჩვენნაირი პატარა პარტიებისთვის საპარლამენტო ტრიბუნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს გვჭირდება ბევრი საჭირო პროექტის გასატანად და გასახმოვანებლად.

***— ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში თავის ანგარიშში მკაცრად გააკრიტიკა სახალხო დამცველმა. ამას მოჰყვა ქილიკი მმართველი გუნდიდან და ლომჯარიას დადანაშაულება ნაცმოძრაობასთან სიახლოვეში. ზოგადად, თუ ქვეყანაში რაღაც ფუჭდება, ვიღაცამ ხომ უნდა აკრიტიკოს ხელისუფლება?***

— ყველა ხელისუფლებას სჭირდება გამკრიტიკებელი. კრიტიკოსი უნდა იყოს ობიექტური. სახალხო დამცველს ავალია უფლებების დაცვა. ომბუდსმენმა ყველას უფლება უნდა დაიცვას. ლომჯარია არ არის ობიექტური და არ იცავს ყველას უფლებებს. მას ერთი წელი დარჩა და, იმედი მაქვს, როცა უფლებამოსილება შეუწყდება, აღარ აირჩევენ. ნინო ლომჯარია თავის დროზე მაშინდელმა პარლამენტმა დაამტკიცა ზეწოლით. დეპუტატები კენჭისყრის დროს მოქმედებდნენ თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ. ეს ლაშა ნაცვლიშვილმაც განაცხადა. დეპუტატი, რომელიც დასავლეთისა თუ ჩრდილოეთის დავალებით ამტკიცებს კანდიდატურებს, ხალხის რჩეული არ არის. ლომჯარია მაშინ დასავლეთის მოთხოვნით აირჩიეს. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ტოკშოუში მოვუწოდე სახალხო დამცველს, დაეცვა კონკრეტული ადამიანის უფლებები. ამაზე რეაგირება არ ყოფილა.

***— კერძოდ?***

— კულტურის მინისტრ თეა წულუკიანს ჯერ დეპუტატმა თაკო ჩარკვიანმა მიაყენა შეურაცხყოფა და უთხრა, ქალი არა ხარო, შემდეგ – ცააძემ. ცააძის თქმით, წულუკიანი ადამიანი არ არის. სად არის სახალხო დამცველი? სად არიან ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები? ეს არის იმის ნათელი მაგალითი, რომ ლომჯარია ზრუნავს მხოლოდ ერთ ჯგუფზე. დაცვა ნაციონალებსაც სჭირდებათ და სხვებსაც. მაგალითად, ჩვენ, სხვა ოპოზიციასაც გვესაჭიროება დაცვა. შეურაცხყოფის ობიექტი ჩვენც ვხდებით. გამკრიტიკებელზე მკითხეთ. გამკრიტიკებელი აუცილებლად უნდა იყოს ობიექტური და არა ლომჯარიასავით სუბიექტური და მიკერძოებული. ჩემი აზრით, ხელისუფლების ობიექტური გამკრიტიკებელი გახდება მესამე ძალა. ეს ძალა არ იქნება დამოკიდებული არც ნაცმოძრაობაზე, არც „ქართულ ოცნებაზე“. ვისურვებდი, რომ მომავალ წელს ჩამოყალიბდეს ჯანსაღი ახალი პოლიტიკური ცენტრი (მესამე ძალა), რომელიც ობიექტური იქნება და თან დაიცავს ერის ტრადიციებსა და ეკლესიას.

# ნიკოლოზ ყიფშიძე: „სააკაშვილის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი ექიმის ნიკოლოზ ყიფშიძის განცხადებით, ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ასევე მას აღენიშნება კუჭ-ნაწლავის პრობლემა და ანემია, რაც აქამდე არ ჰქონია.

როგორც ყიფშიძემ მიხეილ სააკაშვილის მონახულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და სტაბილურად ცუდია.

— პრეზიდენტის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. გრძელდება საერთო სისუსტე, ასევე აღვნიშნავდი დისბალანსს, სიარულის პრობლემები აქვს. ამას პლუს დაემატა კუჭ-ნაწლავის პრობლემები, რომელიც ახალი პრობლემაა და ბოლო 2 დღის განმავლობაში განვითარდა. ასევე არის გამოკვეთილი ანემია, რომელიც მას ადრე არ ჰქონდა.

ანემიის ნიშნები აღენიშნებოდა, როცა შიმშილობდა, შემდეგ გამოსწორდა და ახლა ისევ დაეწყო. ასევე აღენიშნება ნეიროდეფიციტი, რომელიც, ჩემი აზრით, გამოხატულია და რაც შეიძლება სწრაფად საჭიროებს კოლეგირებას, – განაცხადა ექიმმა.

ამასთან, ყიფშიძის თქმით, საქართველოს მესამე პრეზიდენტი გორის სამხედრო ჰოსპიტალში ადეკვატურ მკურნალობას ვერ იღებს.

— ჩემი აზრით, არ არის მკურნალობა ბოლომდე ადეკვატური იმისა, რაც სჭირდება. ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად ცუდია, მე ვერ ვიტყვი, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან დაკავშირებით, შეიძლება, ის დოზა, რასაც პრეზიდენტს აძლევდნენ, არ აღემატებოდეს თერაპიულ დოზას, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს დოზა ძალიან დიდი იყო მის მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისთვის, – დასძინა ექიმმა ნიკოლოზ ყიფშიძემ.

# „სააკაშვილის დაუსჯელობა ავტომატურად ივანიშვილის დაუსჯელობას ნიშნავს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „რა გამოდის, ნემსის ქურდი უნდა გავატყავოთ და აქლემის ქურდი თავისუფალი იყოს?!“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ლაშა, შერიგების იდეასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია? რამდენად რეალურია, სამი პრეზიდენტის შეხვედრა გაიმართოს და ეს საკითხი განიხილონ?***

– მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ მაღალი თანამდებობის პირების დაუსჯელობის. ჯერ შევარდნაძის პერიოდის მაღალჩინოსნების, შემდეგ სააკაშვილის და ახლა ივანიშვილის სრული ამნისტირება ახალ-ახალ დანაშაულებს შობს. თუკი რამ ანადგურებდა და ანგრევდა სახელმწიფოს 30 წლის განმავლობაში სხვა უბედურებასთან ერთად, ეს სწორედ დაუსჯელობის სინდრომი იყო.

რა გამოდის, ნემსის ქურდი უნდა გავატყავოთ და აქლემის ქურდი თავისუფალი იყოს?! ასე არ გამოვა. ქვეყანას, ხალხს მაღალჩინოსნები ძარცვავდნენ თავიანთი კორუფციული გარიგებებით. ესენი უნდა შევიწყალოთ, ამათ უნდა ვაპატიოთ და საწყალი ხალხი დავჩაგროთ?!

მე შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს სამართლიანი სასამართლოს შექმნაში ვხედავ. სწორედ სამართლიანი სასამართლოს შექმნა უნდა იყოს შეთანხმების საგანი და არა დაუსჯელობა, ვინც არ უნდა იყოს. პირიქით, მე ვურჩევდი მათ, ნაძარცვი და მოპარული ქონება დააბრუნონ კარის ბიზნესმენებმა, ყოფილმა თუ მოქმედმა მაღალჩინოსნებმა.

თან, ერთი საკითხია, როგორც ამბობენ, საყოველთაო შერიგება იქნება არსებული თუ მომავალი ნებისმიერი ხელისუფლისთვის დანაშაულისკენ წახალისება იმ მოტივით, რომ მაინც არავინ დასჯის. ამიტომ ვამბობ, რომ ერთადერთი მიზანი სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრება უნდა იყოს. ნამდვილად არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ სააკაშვილი-ივანიშვილის მონა ჯალათები მათვე არ უნდა ასამართლებდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დაუსჯელი უნდა დარჩეს ან სააკაშვილი, ან ბიძინა ივანიშვილი. შეიძლება, სააკაშვილის სასჯელის გადავადება მოხდეს ან უცხოელი მოსამართლეებით დაკომპლექტებულმა სასამართლომ ან სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლო კოლეგიამ განიხილოს მისი საქმე.

სააკაშვილის დაუსჯელობა ავტომატურად ნიშნავს ივანიშვილის დაუსჯელობას. არ შეიძლება, რეჟიმებს უდანაშაულო მოქალაქეების განადგურების, ადამიანების ხოცვის კარტბლანში მივცეთ. თუ ერთმა რეჟიმმა გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი შეიწირა, მეორემ – მაჩალიკაშვილი, ლუკა სირაძე, სტურუა და სხვები. როგორ შეიძლება ამის დაუსჯელად დატოვება?! ეს უსამართლობის ზეიმს, უკანონობის დაკანონებას გამოიწვევს, რომელიც ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში უდიდესი საფრთხე იქნება ამ ქვყენის მოქალაქეებისთვის. ამაზე უნდა ვიფიქროთ.

***– უფრო ფართოდ რომ შევხედოთ შერიგების იდეას, რომელიც პოლარიზებული საზოგადოების შერიგებასაც გულისხმობს, ამ შემთხვევაშიც მიუღებელია?***

– კატეგორიულად მიუღებელია, სწორედ იმ მიზეზებიდან გამომდინარე, რომლებზეც გესაუბრეთ. რაც შეეხება საზოგადოების პოლარიზებას, საზოგადოება არ არის პოლარიზებული. პოლარიზებულია პოლიტიკური სპექტრი და ეს ვერანაირად ვერ გავრცელდება საზოგადოებასა და ხალხზე.

ეს არ არის შერიგება. ეს არის ხელისუფალთა მორიგება-გარიგება და ამ მორიგებით სწორედ ხალხი იზარალებს. 30 წელია, ხალხს ძარცვავს ნებისმიერი ხელისუფლება, ჩადიოდნენ ამას და ჩაიდენენ მომავალშიც. ამ რეალობიდან გამოსავალი გარიგება კი არ არის, სამართლიანი სასამართლოს შექმნაა, რომლის რწმენაც და ნდობაც ექნება საზოგადოებას, მაღალჩინოსნებს კი – შიში, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სამართალი მათთანაც მივა და მოიკითხავს. როგორც ჩანს, ხალხის განადგურებისა და ძარცვის ხარჯზე ძველი და ახალი ხელისუფალნი ცდილობენ, გარიგდნენ ერთმანეთთან.

რაც შეეხება დაძაბულობის მოხსნას, ეს შესაძლებელია გონივრული პოლიტიკით. ორი ძალა გვეუბნება, რომ ამ ქვეყანაში მესამე და მეოთხე არ არსებობს. არადა, არსებობს. გეგონება, ამ ქვეყანაში ერთი ნახევარი სააკაშვილზე გიჟდება და მეორე ნახევარი – ივანიშვილზე. რა თქმა უნდა, ასე არ არის. ძალიან ბევრი ადამიანია, რომლებსაც არც ერთი უნდათ და არც მეორე. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც სამართლიანი საარჩევნო სისტემით უნდა ჩატარდეს. პროპორციული საარჩევნო სისტემა დაბალი ან უბარიერო სისტემით არის გამოსავალი, რომ ამ უბედურებას თავი დავაღწიოთ. მრავალპარტიული პარლამენტი, სამართლიანი სასამართლო, რომელიც ხალხის მიერ იქნება არჩეული, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, არის ამ ქვეყნის უკეთესი მომავლის შანსი.

# „პუტინს უკრაინა შიდამოხმარებისთვის სჭირდება“

## ვახტანგ მაისაია: „რუსეთს არ უნდა, უკრაინამ და საქართველომ მაპი მიიღონ. ამიტომ ამბობს, რომ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება არ უნდა შესრულდეს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ ახდენს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ტერიტორიების მიტაცებას. საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ ახლა რუსეთის ჯარი უკრაინის საზღვართან დგას. ყირიმის ოკუპაცია საკმარისი არ აღმოჩნდა. ვითარებას როგორ აფასებთ?***

– საკმაოდ მძიმე სიტუაციაა. აშკარად ჩანს, კრემლი ქვეყნის ხელისუფლების გადაყენებას, პრეზიდენტ ზელენსკის მმართველობისაგან ჩამოშორებას ცდილობს.

***– ზელენსკის გადაყენება რუსეთს რაში აძლევს ხელს?***

– როგორც პუტინმა ბაიდენს განუცხადა ბოლო შეხვედრის დროს, ჩანს, არის წითელი ხაზები, რასაც რუსეთი არ დაუშვებს. რუსეთს აქვს შეგრძნება, რომ უკრაინის ტერიტორიაზე შეიძლება ამერიკელებმა განათავსონ ბალისტიკური სარაკეტო კომპლექსები და რუსეთზე ერთგვარი ზეწოლა მოახდინონ. შესაბამისად, პუტინის ეს ადარდებს.

ვფიქრობ, აღნიშნული საკითხი პუტინისთვის შიდამოხმარებისაა. პუტინს უკრაინა შიდამოხმარებისთვის სჭირდება. მას აქვს იდეა-მანია, რომ როგორმე საბჭოთა კავშირი აღადგინოს, რასაც არ მალავს. 2001 წელს პუტინმა პირდაპირ განაცხადა, რომ ვისაც საბჭოთა კავშირის დაშლა არ ეწყინა, მას გული არ აქვს. პუტინს უყვარს სიმბოლიზმი. 2002 წლის 14 მაისს პუტინმა კოლექტიური უსაფრთხოების თანამშრომლობის ორგანიზაცია, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი აღადგინა და ეს თარიღი ვარშავის პაქტის მიღების თარიღს დაამთხვია.

***– ვარშავის ხელშეკრულების მაშინდელი მონაწილეები, დღეს, მგონი, ნატოს წევრები არიან.***

– გასაგებია, მაგრამ პუტინმა თარიღი გამოიყენა. 14 მაისს ხრუშჩოვმა შექმნა ვარშავის პაქტი, პუტინმა თარიღი გამოიყენა და საბჭოთა კავშირის ქვეყნებით შექმნა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი. პუტინი ცდილობს, სიმბოლოები გამოიყენოს. მას უნდა, ამ ბლოკის შექმნა საბჭოთა კავშირის აღმდგენი იყოს.

უკრაინის გარეშე პუტინი თავის ამ მანიაკალურ სურვილს ვერ აისრულებს. ეს არის მთავარი. პუტინი ამისკენ მიისწრაფვის. ჩანს, პუტინს ეს იდეაფიქსად ექცა.

***– სხვათა შორის, პუტინის ყოფილი თანაშემწე სურკოვი თავის განცხადებაში პუტინიზმზე, მის იდეებზე, გლობალიზაციაზე და, აქედან გამომდინარე, მიწების გადანაწილების შესაძლებლობასა და რუსეთის ტერიტორიის გაფართოებაზე საუბრობს.***

– პუტინს გაფართოების მანია რომ აქვს, ცხადია. პუტინს ასევე აქვს ზელენსკის ხელისუფლებიდან ჩამოცილების გეგმა იმისათვის, რომ უკრაინა ევროკავშირისა და ნატოს წევრი არ გახდეს. პუტინმა გაუკეთა ინსპირაცია მაიდანის რევოლუციას. პუტინს რომ არ აეტეხა დიდი ბრძოლა იანუკოვიჩის გადაწყვეტილებაზე, ევროკავშირში ასოცირებულ წევრობაზე ხელი მოეწერა, მაიდანის რევოლუცია არ მოხდებოდა.

მაშინ იანუკოვიჩმა უკრაინის ასოცირებულ წევრობას ხელი მოაწერა, მაგრამ პუტინმა იანუკოვიჩზე ზეწოლა განახორციელა და იანუკოვიჩმაც ხელმოწერა უკან წაიღო. ამის გამო დაიწყო მაიდანის რევოლუცია. პუტინს ბრძოლა რომ არ წამოეწყო, დღეს უკრაინა-რუსეთის ურთიერთობა აბსოლუტურად განსხვავებული იქნებოდა.

***– როგორი იქნებოდა?***

– იქნებოდა ისეთი, როგორც პუტინს უნდა. დარწმუნებული იყო, უკრაინელი ხალხი ამ გადაწყვეტილებას არ დასთანხმდებოდა, რაშიც შეცდა. ახლა პუტინს არ უნდა, უკრაინა მართლა შევიდეს ევროკავშირსა და ნატოში. უკრაინელებს ნატოსკენ მისწრაფება რომ გააჩნიათ, ამის გამო ღიზიანდება და ცდილობს, უკრაინას ხელი შეუშალოს.

სულ მცირე, რაც პუტინს სჭირდება, უკრაინაში ხელისუფლების შეცვლა ანუ ისეთი ხელისუფლების მოყვანაა, რომელიც პუტინის მოთხოვნას გაითვალისწინებს. უკრაინის რუსიფიკაციის, რუსული გავლენის ქვეშ მოქცევა პუტინისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, ისევე, როგორც საქართველოში. მხოლოდ მასშტაბებია განსხვავებული.

ჩვენ პატარა ვართ და პუტინისთვის საქართველო, უკრაინისაგან განსხვავებით, რაიმე სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს.

***– რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ნატოს მიმართა, 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების დეზავიურება მოახდინოს, რომლის თანახმად, უკრაინა და საქართველო აუცილებლად გახდებიან ნატოს წევრები. ნატო ამ მიმართვაზე აღშფოთდა. რუსეთი ამ განცხადებით რა მიზანს ისახავდა, ხომ იცოდა, ნატო უარს იტყოდა?***

– ამ განცხადებით რუსეთმა ორი კურდღელი დაიჭირა. მისი აზრით, პირველი, მესიჯი გადასცა ნატოსა და აშშ-ს, მოილაპარაკონ ახალ მსოფლიო წესრიგზე და განსაზღვრონ თავიანთი გავლენის სფეროები (დაახლოებით იმავე მოდელს სთავაზობს, რაც იყო 1938 წლის მიუნხენის კონფერენციაზე). მეორე – რუსეთმა პრეტენზია გამოთქვა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირი მისი განსაკუთრებული გავლენის ზონაა.

***– ფეისბუქზე ერთი მომხმარებელი წერს, რომ ევროპის სხვადასხვა წერტილიდან დაახლოებით ათმა სამხედრო თვითმფრინავმა (ბოინგმა) განახორციელა რეისი უკრაინაში. ტვირთი გასაიდუმლოებული იყო. თუმცა წერს ტექნიკურ მახასიათებლებზე, დატვირთვის ვარიანტებზე, სამხედრო პერსონალის რაოდენობაზე. წერს, რომ ამ თვითმფრინავებით მოხდა სამხედრო ტექნიკის ექსპორტირება და აღნიშნული თვითმფრინავებით ევროპიდან უკრაინაში 48 საკაცით დაჭრილები გადაიყვანეს. ეს რას ნიშნავს, რატომ უნდა გადაეყვანათ დაჭრილები ევროპიდან უკრაინაში? შეიძლება, ფარული ბრძოლები იყოს?***

– ეს არის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი. რუსეთი იყენებს სამხედრო-ფსიქოლოგიური ომის ელემენტებს. ფსიქოლოგიური ომი არის სამხედრო ომი. ფსიქოლოგიური ომის მთავარი ამოსავალი წერტილია სამხედრო ძალებზე, სამხედრო მანქანაზე გავლენის მოხდენა. საინფორმაციო ფსიქოლოგიური ომი კომბინირებული ვარიანტია.

არავითარი ბოინგები უკრაინაში არ ჩადიან. თუ ამერიკა უკრაინას სამხედრო შეიარაღებას აწვდის, ამას არავითარი დამალვა და დაშიფვრა არ სჭირდება. ამას ამერიკა ყოველგვარი ფსიქოლოგიური ომის გარეშე ახორციელებს. უკრაინისთვის სამხედრო შეიარაღების მიწოდება გათვალისწინებულია ამერიკის მხრიდან დახმარების ფორმატში იმ სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც სამხედრო შეიარაღების გადაცემის მომენტს არეგულირებს.

ამერიკამ უკრაინას გადასცა ჯაველინები და



რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, რადიოსიხშირის მატარებელი რადიოგადამცემები, ჰაერსაწინააღმდეგო გადამტანი საზენიტო კომპლექსები „სტინგერები“. შესაბამისად, უკრაინასთან მჭიდრო სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას სხვა მიმართულებითაც ახორციელებს. ამერიკა უკრაინას გადასცემს არა დარტყმით, არამედ თავდაცვითი ტიპის შეიარაღებას, რაც არ არღვევს არავითარ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ამერიკის ქმედება მოქცეულია ჰუმანიტარული და სამხედრო-ტექნიკური დახმარების ფორმატში, რომელსაც ნებისმიერი ქვეყანა სხვა ქვეყანას უწევს. ელემენტარულად, მთავარი იდეაა, უკრაინას თავდაცვის შესაძლებლობა ჰქონდეს. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

***– იქვე ეწერა, რომ თურქეთმა უკრაინას 40 უპილოტო თვითმფრინავი გადასცა.***

– ეგ თურქეთისა და უკრაინის ორმხრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეა. თურქეთმა მართლა გადასცა საბრძოლოო სამხედრო შეტევითი დრონები, „ბაირახტარები“, რომელიც შეტევითი ტიპის შეიარაღებაა, რაც თურქეთსა და უკრაინას შორის ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში გაკეთდა. ამას უკრაინა იყენებს სადაზვერვო მისიების შესასრულებლად.

სამხედრო დრონები ჩვეულებრივი კომერციული ტიპის შეიარაღებაა, რომელიც ასევე გამოიყენება თავდაცვითი სამხედრო ოპერაციებისთვის. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. დრონების პრობლემა არავის წინაშე არ დგას. ყველა სახელმწიფოს შეუძლია, შეიძინოს. თუ უნდა, შეტევით შეიარაღებას შეიძენს, თუ უნდა – თავდაცვისას. ამ შემთხვევაში ეს დრონები თავდაცვითი ოპერაციების შესრულებისთვის საჭირო სამხედრო შეიარაღების ფუნქციას ასრულებს.

***– ბაიდენმა უარყო იდეა უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგ ცალმხრივად ძალის გამოყენების თაობაზე. ეს რას ნიშნავს?***

– თუ უკრაინაზე თავდასხმა განხორციელდა, ამერიკას, შეიძლებოდა, ორმხრივ დონეზე სამხედრო დახმარება აღმოეჩინა. არა ნატოს დონეზე, კოალიციური თავდაცვის ინსტიტუტის ფორმატში, არამედ მხოლოდ ამერიკა დახმარებოდა, როგორც ეს ხდება ტაივანის მაგალითზე.

ტაივანსა და ამერიკას შორის გაფორმებულია სტრატეგიული მეგობრობისა და სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ თუ ტაივანის წინააღმდეგ ჩინეთი სამხედრო აგრესიას განახორციელებს, აშშ ტაივანს შეტევის მოგერიებაში დაეხმარება. თუმცა ჩინეთი ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძვის. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის ტაივანი სეპარატისტული რეგიონია. საერთაშორისო სამართლის ფორმატში, ბუნებრივია, ჩინეთს ამის უფლება გააჩნია. იმედია, სამხედრო ძალას არ გამოიყენებს და მშვიდობიანად შეძლებს ერთი ჩინეთის ორი სახელმწიფოს გაერთიანებას. ჩინეთმა თავის დროზე განახორციელა, მაგალითად, ტერიტორიების დაბრუნება (ჰონგკონგი დაიბრუნა). ასევე ჩინეთი შეძლებს, ტაივანთან მოილაპარაკოს და ისე შექმნას ერთიანი ჩინური სახელმწიფო.

***– ისე, ჩინეთი არასანდო პარტნიორია, იგივე ჩვენთვის. ჩინეთის ელჩი სირიაში შეხვდა სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ელჩს სირიაში, რაზეც ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომაც გააკეთა განცხადება.***

– ჯერჯერობით ჩინეთი ჩვენი სტრატეგიული მეგობარია და აქტიურად გვეხმარება არაღიარების პოლიტიკის გატარებაში. შეიძლება, რაღაც გადახრებიც აქვს, არ ვიცი, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ოფიციალურად ჩინეთი არ აღიარებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს.

***– უკრაინას დავუბრუნდეთ. ბაიდენმა უთხრა პუტინს, უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში გავაკეთებთ იმას, რაც არ გაგვიკეთებია 2014 წელსო, როცა ყირიმის ოკუპაცია მოახდინა. ახლა რა დონეზე დაეხმარება ამერიკა უკრაინას? ზელენსკის შეცვლამდე საზღვართან რუსული მრავალათასიანი ჯარია მიმდგარი და ქვეყანა რუსული ჯარის შეჭრის წინაშეა.***

– ვფიქრობ, დასავლეთი და ამერიკა სერიოზულ ეკონომიკურ ბერკეტებს, ეკონომიკური დემარშის ფორმებს გამოიყენებს. რუსეთს გათიშავენ სვიფტის საერთაშორისო სისტემისაგან, დაუწესებენ სერიოზულ აკრძალვებს საქონლის დასავლეთში გატანაზე, მოახდენენ რუსეთის სავალუტო რეზერვების ბლოკირებას ამერიკულ ბანკებში, რაც რუსეთის ეკონომიკისთვის ძალიან სერიოზული დარტყმა იქნება.

***– აქამდე რა ეკონომიკური სანქციებიც დაუწესეს, იქიდან რუსეთი ყოველთვის გაძლიერებული გამოდიოდა.***

– ეჭვი არ შეგეპაროთ, რაც ჩამოვთვალე, ის სანქციები დიდ გავლენას მოახდენს. იმედია, რუსეთი უკრაინაზე შეიარაღებული ქმედების განხორციელებას გადაიფიქრებს.

***– ბაიდენის მოწოდებით, უკრაინის საკითხზე რუსეთს ამერიკისა და ევროპის წარმომადგენლებთან მოუწევს მოლაპარაკების წარმოება.***

– როგორც ჩანს, ბაიდენმა შესთავაზა საკითხის ახალი ნორმანდიული ფორმატით განხილვა. ეს ფორმატი რუსეთს თავის დროზე ევროპელებმა შესთავაზეს. ესენია: საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, უკრაინა, რომელმაც არ იმუშავა. ფაქტობრივად, დღეს ეს ფორმატი გაუქმებულია.

***– ახლა ნორმანდიული ფორმატი იმუშავებს?***

– არ ვიცი. თუ ამერიკა ჩაერთვება პროცესში, შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. იმედია, იმუშავებს. ამერიკის ჩართულობა სულ სხვა დონეა, ვიდრე ევროპული სახელმწიფოების. ამერიკის პოლიტიკა უფრო ხისტია და რუსეთზე უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ვიდრე ევროპულ სახელმწიფოებს.

***– რუსეთი ამ დონეზე რამ გააღიზიანა, ამ ეტაპზე უკრაინის ნატოში გაწევრიანების შანსი არის? გაწევრიანების კონტურები გამოჩნდა თუ ევროპაში სამი ასოცირებული ქვეყნის მეთაურების ვიზიტებმა და ამ საკითხებზე მსჯელობამ გააღიზიანა?***

– რუსეთს არ უნდა, უკრაინამ და საქართველომ მაპი მიიღონ. ამიტომ არის რუსეთი გაღიზიანებული და ამბობს, რომ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება არ უნდა შესრულდეს. საქართველოსა და უკრაინას მაპის სტატუსი რომ მიეღოთ, ეს, ფაქტობრივად, ნატოში შესვლის წინაპირობა იქნებოდა.

# „ყველაფერი ნარინჯისფერი ჰუდის გამო დაიწყო“

## 15 წლის დავით კრავეიშვილის მკვლელობის ახალი დეტალები

4 დეკემბერს სანზონაში 15 წლის მოზარდის მკვლელობის დეტალები „შაბათის ეთერმა“ გაარკვია.

აღმოჩნდა, რომ არასრულწლოვნებს შორის დაპირისპირება ნარინჯისფერი ჰუდის გამო დაიწყო.

ნარინჯისფერი ჰუდი ამ უბანში მცხოვრებ ერთ-ერთ გოგონას თანატოლმა ბიჭმა გამოართვა და აღარ დაუბრუნა. 6 თვის შემდეგ გოგონამ ეს ამბავი მის შეყვარებულს უამბო.

ამის შემდეგ საქმის გარჩევა დაინიშნა, რომელზედაც მისულ მეცხრეკლასელს დანა გულში ჩაარტყეს.

ყველაფერი კი 4 დეკემბერს დილით ერთი მესიჯით დაიწყო. 15 წლის დათუნა კრავეიშვილის მკვლელობის საქმეზე დაკავებული არასრულწლოვანი დისტანციურად ინგლისურ გაკვეთილს ესწრებოდა, როდესაც კომპიუტერში პარალელურად გახსნილ ფეისბუქის ფანჯარაში შეტყობინება მოვიდა. უცნობმა პირმა შეხვედრა ნარინჯისფერი ჰუდის საქმეზე ღრმაღელის მეტროსთან სთხოვა.

დაკავებული არასრულწლოვანი შეხვედრაზე მეგობარ არასრულწლოვანთან ერთად წავიდა. ადგილზე მისულს ახალგაზრდების დიდი ჯგუფი დახვდა.

დაკავებული ბრალდებულის ჩვენებით დგინდება, რომ მოზარდებს შორის დაწყებული საქმის გარჩევა წინასწარ ორგანიზებული იყო. ხალხმრავალ ადგილას პოლიცია შეამჩნევდა და ამიტომ, ძველი ავტოფარეხების გვერდით, ჩიხში უნდა გადაენაცვლათ.



ლაპარაკი დენის გინებაში გადაიზარდა, გინებას ხელის პირველი დარტყმა და ჯგუფური ჩხუბი მოჰყვა. ადგილზე მკვლელობის იარაღი – დანა გამოჩნდა.

როცა 15 წლის დათუნა კრავეიშვილი ძირს დაეცა და ახალგაზრდებმა სისხლი დაინახეს, მათ თავს გაქცევით უშველეს.

გარჩევაში დავით კრავეიშვილი შემთხვევით მოხვდა. მას არც ჰუდი გამოურთმევია ვინმესთვის და არც თავად მიუცია. ჰუდის გამო მისი ნაცნობის ნაცნობები დავობდნენ.

ოჯახი იხსენებს, რომ საბედისწერო დღეს მეცხრეკლასელმა დილას, ტრადიციულად, ძაღლი გაასეირნა. სახლში მალევე დაბრუნდა და ოჯახს უთხრა, რომ მეგობრებთან შეხვედრას აპირებდა.

დათუნას ძმა იხსენებს, რომ სისხლიან გარჩევამდე 10 წუთით ადრე ის დედასთან სამსახურში მივიდა. ის ამბობს, რომ დათუნას კონფლიქტი არავისთან ჰქონია და არც ცივი იარაღით უვლია უბანში.

დანა გაუჩინარებულია.

მკვლელობიდან რამდენიმე საათში პოლიციამ ორი პირი დააკავა. ერთს – განზრახ მკვლელობას, მეორეს კი დანაშაულის დაფარვას ედავებიან, თუმცა ამ საქმეში ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. საეჭვო გარემოებებზე საუბრობს დაკავებულის ადვოკატიც. ადვოკატი იმ პირების პასუხისმგებლობის დაყენებას მოითხოვს, რომლებიც მისი დაცვის ქვეშ მყოფებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

– იქ იყო რამდენიმე აქტიური პიროვნება, ბირთვი 5-6-კაციანი, რომლებიც ჩხუბობდნენ, ფიზიკურად უსწორდებოდნენ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, შესაბამისად, მათი პასუხისმგებლობის საკითხი, სამართლიანობა მოითხოვს, რომ დადგეს, მათ ჩაიდინეს დანაშაული და ისინი სხედან სახლში ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, – ამბობს ადვოკატი.

## ახალქალაქში ციხიდან გამოსულმა მამაკაცმა ყოფილი ცოლი და 3 ადამიანი დაჭრა

სისხლიანი ანგარიშსწორება მოხდა ახალქალაქში – მამაკაცმა ოჯახის წევრები და ახლობლები ცივი იარაღით დაჭრა, მათ შორის დაჭრილია 10 თვის ჩვილიც. ბავშვს ჭრილობა ბარძაყის არეში აქვს მიყენებული.

სისხლიანი დაპირისპირება 10 დეკემბერს ღამით მოხდა. მძიმეა სიმამრის, სიდედრის და რძლის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მათ მრავლობითი ჭრილობები აქვთ მიყენებული. მათგან 2 თბილისის კლინიკაშია გადმოყვანილი.

ციხიდან გათავისუფლებული პატიმარი ყოფილი ცოლის ოჯახში შურისძიების მიზნით შეიჭრა.

ყოფილი მეუღლის მიერ დაჭრილი ქალი, 32 წლის ოსან ქურდოღლიანი, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ცოტა ხნის წინ დაბრუნდა. ის „პირველებთან“ მომხდარზე ყვება და ამბობს, რომ მეუღლეს ერთი წლის წინ დაშორდა. მისი თქმით, ყოფილ მეუღლეს ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა.

– ბავშვების სანახავად იყო მოსული, წაიყვანა მაღაზიაში და ტკბილეული უყიდა. ნასვამი იყო და უცებ, არ ვიცი, რა დაემართა. ჩემი ორივე შვილი ძლივს გადაურჩა დაჭრას. ჩემი მშობლები კი მძიმედ არიან დაჭრილები. დაჭრილია ასევე ჩემი ძმის ცოლი და მისი ათი თვის ჩვილი. ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. შური იძია იმის გამო, რომ მამაჩემმა ადრე ჩემზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის გამო უჩივლა პოლიციაში და ციხეში იჯდა. ახლა გამოსულია და თუ არ უმკურნალებენ და ისევ გამოუშვებენ, ისევ იგივეს იზამს, – ამბობს ბრალდებულის მეუღლე.

მომხდარის შემდეგ 42 წლის სასურ მარტიროსიანმა სახის არეში თვითდაზიანებები მიიყენა, რის შემდეგაც კლინიკას თავადვე მიმართა.

სამართალდამცველებმა ის სწორედ კლინიკაში დააკავეს.

## თამარ ბაჩალიაშვილის მკვლელობა კრიპტოვალუტასა და ქოლცენტრებთანაა კავშირში

ახალი სკანდალური დეტალები გაირკვა თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის საქმეში – აღმოჩენილია ანონიმური წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ, შესაძლოა, 23 წლის პროგრამისტის მკვლელობა კრიპტოვალუტებთან და ქოლცენტრებთან იყოს დაკავშირებული.

ირკვევა, რომ წერილი დაუდგენელმა ადამიანმა ბაჩალიაშვილის სახლთან მდებარე მაღაზიაში დატოვა და ის ტვ პირველს გარდაცვლილი გოგონას ოჯახმა გადასცა.

წერილში სქემაა აღწერილი, ვის და რის გამო შეიძლება, მოეკლა აიტი ტექნოლოგიების ახალგაზრდა სპეციალისტი. ტვ პირველი წერილში ნახსენები მაღალჩინოსნების ვინაობას განგებ არ ასახელებს.

ოჯახის უფლებადამცველი, მიხეილ რამიშვილი, ამბობს, რომ წერილში პოლიციელის გვარი ფიგურირებს.

– ამ პოლიციელის გვარი თავიდანვე ფიგურირებდა საქმეში. ამ წერილით დგინდება ის, რაზეც ჩვენ თავიდანვე ვსაუბრობდით. ეს ბავშვი, თამარ ბაჩალიაშვილი, იყო გარკვეულ ჯგუფთან თანამშრომლობის შედეგის მსხვერპლი. ეს არის დაკავშირებული როგორც ფინანსებთან, ასევე გარკვეულ ინფორმაციასთან, რომელსაც ეს ბავშვი ფლობდა, – აცხადებს ადვოკატი.

თამარ ბაჩალიაშვილი 2020 წლის 18 ივლისს დაიკარგა. 4-დღიანი ძებნის შემდეგ, 22 ივლისს, მისი ცხედარი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ მაწევანის ტერიტორიაზე ნახეს.

საქართველოს პროკურატურაში თამარ ბაჩალიაშვილის საქმე უკვე დაიხურა. შოთაძის უწყების განმარტებით, ახალგაზრდა ქალმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ოჯახმა აღნიშნული ვერსია თავიდანვე გამორიცხა.

## ვაკეში ნინი ღვინიაშვილი აივნიდან გადავარდა

თბილისში, ვაკეში, ახალგაზრდა ქალი კორპუსის აივნიდან გადავარდა და დაიღუპა. გარდაცვლილი ახალგაზრდა ადვოკატი ნინი ღვინიაშვილია.

ინფორმაციას „მარიამ კუბლაშვილის საადვოკატო ოფისი“ ავრცელებს, სადაც გარდაცვლილი სტაჟირებას გადიოდა.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ჩემი გუნდის სახელით ჩემი სტაჟიორის ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, მომავალი ადვოკატის – ნინი ღვინიაშვილის ტრაგიკული გარდაცვალების გამო. შეძრწუნებული ვარ ამ ტრაგედიით და დიდხანს გააზრება გამიჭირდება. ნინიმ სწორედ ჩემი რჩევით ჩააბარა ადვოკატთა ასოციაციის გამოცდები. მან ეს შეძლო და დიდი სურვილი ჰქონდა, წარმატებული ადვოკატი ყოფილიყო“, – წერს ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი ფეისბუქში.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## თემქაზე 53 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

უბედური შემთხვევა მოხდა თემქაზე, 53 წლის მამაკაცი და მისი ძაღლი სახლში გარდაცვლილები იპოვეს.

სავარაუდოდ, გარდაცვალების მიზეზი არასწორად დამონტაჟებული გაზის წყლის გამათბობელი გახდა. შემთხვევის დროს მამაკაცი სახლში მარტო იმყოფებოდა. ეს ამბავი 9 დეკემბერს, დღის მეორე ნახევარში მოხდა. მამაკაცის მეუღლემ, როდესაც სამსახურიდან სახლში დაბრუნდა, მაშველები გამოიძახა, რადგან მამაკაცი კარს არ აღებდა.

– გაიგუდა გაზით, ჩვენგან ჩავიდნენ და, რომ შევიდნენ, მერე მეუღლე აღარ შეუშვეს, უკვე გარდაცვლილი იყო, ბოდიში და უნიტაზზე მჯდარა. აბაზანაში იყო, წყალი ყოფილა მოშვებული, ოღონდ ცივი წყალი მოდიოდაო და ძაღლიც იყო გარდაცვლილი, – უთხრა მეზობელმა ტვ პირველს.

მამაკაცის ცხედარი ექსპერტიზაზე ჰყავთ გადაყვანილი.

## მაგდა პაპიძის სარჩელი სტრასბურმა არ განიხილა

სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლომ შვილისა და მეუღლის სასტიკ მკვლელობაში მსჯავრდებული ქალის სარჩელის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმე არ განეხილა.

მსჯავრდებული მაგდა პაპიძის მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაგზავნილ სარჩელში საუბარი იყო მისი დაკავებისას წინასწარი მოთავსების იზოლატორში განხორციელებულ შესაძლო ძალადობის ფაქტებზე, რამაც, მისი მტკიცებით, ორსულობის შეწყვეტა გამოიწვია.

საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ ორმაგ მკვლელობაში მსჯავრდებული ქალის დედის თქმით, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, ორსული მაგდა პაპიძის მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. თუმცა, როგორც პაპიძის დედა „რუსთავი 2“-თან განმარტავს, საქმის მასალების დაგვიანების გამო სტრასბურის სასამართლომ სარჩელი არ განიხილა.

– ჩვენ ექსპერტიზის დასკვნაც კი გვაქვს ცემის ფაქტებთან დაკავშირებით. დაგვიანებით მოხდა ამ მასალების გადაგზავნა 6 თვე იყო განსაზღვრული ვადა, რომელ ვადაშიც უნდა გადაგზავნილიყო. სპეციალურად დააგვიანა პროკურატურამ მასალების გადმოგზავნა, მაგრამ სხვა ადვოკატმა დაგვიანების მიუხედავად მაინც გაგზავნა. თუმცა დაგვიანების გამო უარი მოგვივიდა.

ჩვენ ნამდვილად გვაქვს ის საბუთები, რომ მაგდა ნაცემი იყო, თანაც ამ პერიოდში ორსულად იყო და არსებობს ექსპერტიზის დასკვნა ექიმის ხელმოწერით, – განაცხადა მაგდა პაპიძის დედამ „რუსთავი 2“-თან საუბრისას.

## შსს-ს დანაყოფებს სომხეთის პოლიციის უფროსი დელეგაციის წევრებთან ერთად ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის წარმომადგენლები ეწვივნენ, რომლებიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იმყოფებიან. სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსს – ვაჰე ღაზარიანს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა და მომსახურების სააგენტოს დირექტორმა – ბესიკ ტეფნაძემ უმასპინძლეს. სააგენტოს დირექტორმა დელეგაციის წევრებს მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის შენობა დაათვალიერებინა და არსებული სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. სტუმრები მართვის მოწმობის მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების პროცესსაც გაეცნნენ. სააგენტოში ვიზიტის დასასრულს, სომეხ სამართალდამცველებს საჩუქრად სახელობითი სანომრე ნიშნები გადაეცათ.

საქართველოს ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის პოლიციის დელეგაციის წევრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მოინახულეს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორმა გიორგი არსოშვილმა სტუმრებს საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებული ვითარება გააცნო. იგი დელეგაციის წევრებს ქვეყნის



მასშტაბით მოქმედი ერთიანი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მართვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებაც ესაუბრა.

სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის წარმომადგენლებს შსს-ს აკადემიაში მინისტრის მოადგილეებმა: ალექსანდრე დარახველიძემ და გიორგი ბუთხუზმა, ასევე რექტორმა ივანე პაპიაშვილმა უმასპინძლეს.

სტუმრები სასწავლებლის საქმიანობის სპეციფიკას და ინფრასტრუქტურას გაეცნნენ.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სასწავლო და ფიზიკური მომზადების ოთახები, იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი, ტაქტიკური და საცეცხლე მომზადების შენობები.

## ათენში ქართველი კანონიერი ქურდი ლევან ხავთასი დააკავეს

ათენში 37 წლის ქართველი კანონიერი ქურდი დააკავეს.

„ათენის პროკურატურის და პოლიციის თანამშრომლებმა ქართული მაფიის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი დააკავეს, რომელიც ფლობს კანონიერი ქურდის ტიტულს“, – წერს ბერძნული მედია.

დაკავებულია ლევან ხავთასი, რომელსაც კრიმინალურ წრეებში „ლაზარეს“ სახელით იცნობენ.

მას საბერძნეთში ძარცვისა და ორგანიზებული დანაშაულის ბრალდებით პატიმრობა დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი.

ბერძნული მედიის ცნობით, კანონიერი ქურდი საბერძნეთში ყალბი ქართული პასპორტით და შეცვლილი ვინაობით გადაადგილდებოდა, თუმცა პოლიციამ თითის ანაბეჭდებით მისი იდენტიფიცირება მაინც მოახერხა.

## ქობულეთში უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აჭარაში უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს.

ქალაქ ქობულეთში, მოქალაქეს, დაურეგისტრირებელი ლენტური ტიპის სახერხი დანადგარი, სპეციალურად მოწყობილ, დახურული ტიპის შენობა-ნაგებობაში ჰქონდა განთავსებული.

„აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სახერხი საამქრო დალუქეს.

ვინაიდან ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებაში გადაიგზავნა.

2021 წლის ნოემბრის თვეში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ქვეყნის მასშტაბით, 6 ერთეული არარეგისტრირებული სახერხი საამქროს დემონტაჟი განხორციელდა. ამავე პერიოდში, აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 6 ფაქტი და 1 ერთეული უკანონო სახერხი საამქრო გამოვლინდა“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## არადეკლარირებული თანხის შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა

შემოსავლების სამსახურის ცნობით, მებაჟე ოფიცრების მიერ არადეკლარირებული თანხის შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.

მათი ინფორმაციით, არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, 857.550.09 ლარი შეადგინა.

„30 ოქტომბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში ,,თბილისის აეროპორტი“, ,,წითელი ხიდი“ და ,,ქუთაისის აეროპორტი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, კუვეიტის, ბელარუსის, ირანის ისლამური სახელმწიფოს, საქართველოსა და ყაზახეთის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე, კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, ჯამში, 328.843 აშშ დოლარი, 475 ბელარუსული რუბლი, 22.500 ყაზახური ტენგე და 3.000.000 რუსული რუბლი გამოავლინეს.

არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, 857.550.09 ლარი შეადგინა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა (არადეკლარირებული თანხის 10%-ის ოდენობით) ჯამში, 115.755.006 ლარი შეეფარდათ“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ბაიდენი: „რუსეთი უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში საშინელ საფასურს გადაიხდის“



აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, მან რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს უთხრა, რომ რუსეთი გადაიხდის „საშინელ ფასს“ და დამანგრეველი ეკონომიკური შედეგების წინაშე აღმოჩნდება, თუ ის უკრაინაში შეიჭრება.

ბაიდენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში საზღვარზე აშშ-ის ჯარების გაგზავნა არასდროს განიხილებოდა, თუმცა შეერთებულ შტატებსა და ნატოს მოეთხოვებათ მეტი ძალების გაგზავნა აღმოსავლეთ ფლანგის ქვეყნებში, რათა გაძლიერდეს მათი თავდაცვა.

– მე აბსოლუტურად მკაფიოდ ვუთხარი პრეზიდენტ პუტინს, რომ თუ ის უკრაინაში გადავა, ეკონომიკური შედეგები მისი ეკონომიკისთვის იქნება დამანგრეველი და დამღუპველი, – განაცხადა ბაიდენმა.

ბაიდენმა, რომელიც გასულ კვირას პუტინს ვიდეოკონფერენციის ფორმატში ორი საათის განმავლობაში ესაუბრა, თქვა, რომ რუსეთის პოზიცია მსოფლიოში უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში მკვეთრად შეიცვლებოდა.

# ჩეხეთში 60 წელს გადაცილებულთათვის ვაქცინაცია აუცილებელი ხდება




ჩეხეთში 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ვაქცინაცია სავალდებულო გახდება. ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით, 2022 წლის პირველი მარტიდან 60 წელს გადაცილებული თითოეული მოქალაქე და გარკვეული პროფესიის მქონე პირები, მათ შორის ექიმები, პოლიციელები, მეხანძრეები და ჯარისკაცები ვალდებული იქნებიან, აიცრან.

ყოველ 1.000 ადამიანზე დაინფიცირებით ჩეხეთს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს მსოფლიოში.

ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში მოსახლეობის 82% სრულად ვაქცინირებულია.

# მექსიკაში ტრაილერი გადაბრუნდა

## 53 ადამიანი დაიღუპა, 58 დაშავდა

მექსიკის შტატ ჩიაპასში ტრაილერი გადაბრუნდა, რის შედეგადაც 53 ადამიანი, უმეტესობა მიგრანტი, დაიღუპა და 58 დაშავდა.

დაღუპულებსა და დაშავებულებს შორის ქალები და ბავშვებიც არიან.

ავტოსაგზაო შემთხვევა ქალაქ ტუსტლა-გუტიერესთან, ერთ-ერთ სახიფათო შესახვევში მოხდა.

მიგრანტები, რომლებიც ცენტრალური ამერიკიდან სიღარიბესა და ძალადობას გაურბიან, როგორც წესი, მექსიკის საშუალებით ცდილობენ, აშშ-ის საზღვრამდე მიაღწიონ. ხშირად მათ სატვირთო ავტომობილებით ძალიან სახიფათო პირობებში უწევთ მგზავრობა.

# აშშ-ში ტორნადოს 100-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა



აშშ-ის კენტუკის შტატში ტორნადოს შედეგად, სავარაუდოდ, 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ამის შესახებ შტატის გუბერნატორმა ენდი ბეშეარმა განაცხადა.

სტიქიის გამო კენტუკიში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

ტორნადო აშშ-ის სხვა შტატებსაც დაატყდა თავს. ამინდის ეროვნულმა სამსახურმა ტორნადოსთან დაკავშირებული გაფრთხილება გასცა არკანზასის, ტენესის, მისურისა და ილინოისის შტატებისთვის.

არკანზასის შტატში ტორნადოს შედეგად მოხუცთა თავშესაფარი ნაწილობრივ ჩამოინგრა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა.

# იტალიაში შენობის ჩამონგრევის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა



იტალიაში, სიცილიის ქალაქ რავანუზაში, გაზის აფეთქების შედეგად 2 შენობა ჩამოინგრა, რის შედეგადაც, სულ მცირე, 3 ადამიანი გარდაიცვალა.

6 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, 2 კი შენობის ნანგრევების ქვეშ ცოცხალი იპოვეს.

ადგილზე კვლავ მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები დაკარგული ადამიანების საპოვნელად.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# შავმა ლომმა რუსეთის ჩემპიონს მოუგო

**შავი ლომი-ენისეი 27:20**



რაგბი ევროპის სუპერთასზე შავმა ლომმა რუსეთის ჩემპიონი ენისეი 27:20 დაამარცხა და 4 მატჩის შემდეგ აღმოსავლეთ კონფერენციის სათავეში მოექცა.

ჩვენს გუნდს 15 ქულა აქვს და 2 ქულით უსწრებს თელავივ ჰითს, ხოლო სამით – ენისეის და სუპერ თასის აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერია.

15 დეკემბერს ჰითი კრასნოიარსკელებს თბილისში, „ავჭალაზე“ მასპინძლობს, 18 დეკემბერს კი ებრაელებს სტუმრად შავი ლომი ერკინება, რის შემდეგაც ნახევარფინალში გამსვლელი გუნდების ვინაობა, შესაძლოა, ვადაზე ადრე გაირკვეს. შეგახსენებთ, ქართული ფრენჩაიზი ენისეის სოჭში 30 ოქტომბერს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს თამაში გადაიდო და მისი ჩატარების ვადები, ჯერჯერობით, უცნობია.

რაც შეეხება თავად მატჩს: შავი ლომი პირველ ტაიმში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და 12 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ მეორე ტაიმში სტატიკურ ფაზებში შეცდომები დაუშვა, ზედიზედ 5 დერეფანი დათმო და მეტოქემ სხვაობის შემცირების შანსი მიიღო.

ქართველებმა თამაში აქტიურად დაიწყეს. ისინი დომინირებდნენ რაქებში, თითქმის ყველა ჯერზე ახერხებდნენ უპირატესობის ხაზი გადაკვეთას და მე-10 წუთზე გიორგი ბაბუნაშვილმა კარის წინ 22 მეტრიდან ანგარიში გახსნა. გავიდა რამდენიმე წუთი და მეტოქის 22-ში მოგებულ დერეფანს ბურთის ხაზზე გასვლა მოყვა, შავი ლომის უკანახაზელებმა სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და სანდრო თოდუამ ლელო გაიტანა, მაგრამ ამ ეპიზოდში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

ენისეი ჩვენს 22-ში შემოსვლას ვერ ახერხებდა და როცა დასარტყმელ პოზიციებზე ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვა, 27-ე და 35-ე წუთებზე რამილ გაისინმა საკუთარ გუნდს 6 ქულა შესძინა. მის ჯარიმებს შორის ერთი ზუსტი დარტყმა ბაბუნაშვილმაც შეასრულა, ტაიმის ბოლოს კი, მე-2 ლელოც გავიდა. ხელდახელ შეტევის შემდეგ ფრთაზე ლუკა ივანიშვილმა კარგად იარა, მას ნიკა ხატიაშვილი წამოეშველა და სტუმრები დაჯარიმდნენ. მოლს ჯერ ულდის საულიტეს სინბინი და შალვა მამუკაშვილის ლელო მოყვა. შავი ლომი შესვენებაზე კომფორტული სხვაობით გავიდა – 18:6.

მე-2 ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა შემოგვიტიეს, თავი დავიცავით და მოედანზე გაწევ-გამოწევა გაიმართა, რასაც ნოდარ ჭეიშვილის სინბინი მოჰყვა. მომდევნო ჯერზე თავი უკვე სუფთად დავიცავით და აკა ტაბუცაძემ ფეხით თამაში მეტოქის 22-ში გადაიტანა, რასაც ჯარიმა და ბაბუნაშვილის მორიგი 3 ქულა მოჰყვა. 49-ე წუთზე შერკინება ვერ მოეწყო და ნიკა ხატიაშვილთან ერთად 10 წუთით დასვენება ნიკო უსტჰეიზენსაც მოუწია, თუმცა კაცნაკლულებმა კვლავ იქით შევუტიეთ, დასარტყმელ პოზიციაზე ჯარიმა გამოვიმუშავეთ და ბაბუნაშვილმა უპირატესობა 18 ქულამდე გაზარდა – 24:6.

ამას შეცვლები და შეცდომები მოჰყვა. 56-ე წუთზე მამუკაშვილმა მოლის შემდეგ გარდაუვალი ლელოსგან გვიხსნა, მაგრამ ერთ წუთში ფრიდლე ულიფემ მაინც შეძლო ლელოს გატანა და გაისინმა გარდასახა. საპასუხო ლელო ალბათ მალე გავიდოდა, მაგრამ მეტოქის 5-მეტრიანსა და 22-ში ზედიზედ 4 საკუთარი დერეფანი წავაგეთ, რის შემდეგაც ბაბუნაშვილმა ჯარიმა უკვე კარში დაარტყა. 74-ე წუთზე ჩვენი დერეფანი ჩვენს 22-შიც დავთმეთ, კონტრშეტევას და ფეხით გადაკიდებას კი ფრთაზე დავით მესხის ლელო და რთული პოზიციიდან ზუსტი გარდასახვა მოჰყვა.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და შავმა ლომმა რუსეთის ჩემპიონი ენისეი 27:20 დაამარცხა.

**ალექსანდრ პერვუხინი:**

– ჩვენ მოსაგებად ვიყავით ჩამოსული, მაგრამ ასე არ მოხდა. ცხადია, შედეგით უკმაყოფილო ვართ. რაც შეეხება ბონუს-ქულას, ბოლომდე ვიბრძოლეთ და ეს ამის შედეგი იყო. ჯამში მოიგო იმ გუნდმა, რომელმაც ნაკლები შეცდომა დაუშვა. ქართული რაგბი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, მაგრამ, ვიმეორებ, რომ მოსაგებად ვიყავით ჩამოსული. შავი ლომი კარგად თამაშობდა რაქში, აგრესიულად და კონცენტრირებულად, რითაც გვაიძულა შეცდომები დაგვეშვა, თუმცა ბევრი შეცდომა ჩვენითაც დავუშვით. შეტევაში რამდენიმე დასანანი ბურთი დავკარგეთ.

**დმიტრი გერასიმოვი:**

– მატჩის დასაწყისში ბევრი ქულა გავუშვით. ვგრძნობდით, რომ შეხვედრის გადარჩენა შეიძლებოდა, მაგრამ ბევრი შეცდომა დავუშვით.

**ლევან მაისაშვილი:**

– განვლილი მატჩის შემდეგ ანალიზი გავაკეთეთ, მთელი კვირა ნაყოფიერად ვიმუშავეთ და ვფიქრობ, ეს პირველ ტაიმში და მე-2 ტაიმის პირველ ნახევარში კარგად გამოჩნდა. მეტოქეს ყველა ასპექტში ვჯობდით, თუმცა დასკვნით წუთებში ცუდად ვითამაშეთ სტატიკურ ფაზებში და წავაგეთ ძალიან ბევრი დერეფანი.

ეს გუნდი შექმნილია იმისთვის, რომ ბევრ გამოუცდელ მორაგ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## კალეიდოსკოპი

# 2021 წლის მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალი გამოვლინდა



მწერალი და ამაზონის დამფუძნებლის ჯეფ ბეზოსის ყოფილი მეუღლე მაკენზი სკოტი ჟურნალ ფორბსის ვერსიით წლის ყველაზე გავლენიან ქალად დასახელდა. ამ ინფორმაციას გამოცემა საკუთარ ოფიციალურ გვერდზე ავრცელებს.

რეიტინგში მეორე ადგილი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა კამალა ჰარისმა დაიკავა, ხოლო მესამეზე ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი და სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელი კრისტინ ლაგარდი აღმოჩნდა. ამავე დროს, მეოთხე ადგილი ერგო ჯენერალ მოტორ კომპანის ხელმძღვანელ მერი ბარას, ხოლო პირველი ხუთეული დახურა ბილ გეიტსის ყოფილმა მეუღლემ მელინდამ.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ყოფილი კანცლერი ანგელა მერკელი ბოლო 11 წლის განმავლობაში პირველად ვერ მოხვდა მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალების სიაში.

# სახლის გარეშე დარჩენილმა კაფეს თანამშრომელმა კლიენტისგან საჩუქარი მიიღო



აშშ-ში კაფეების ქსელის დანკინ დონატსის თანამშრომელი სახლის გარეშე დარჩა და მადლიერი კლიენტისგან მოულოდნელი საჩუქარი მიიღო.

სამი შვილის დედამ ებონი ჯონსონმა სამი წელი იმუშავა ოჰაიოს შტატის ქალაქ მაუნტი-ჰელტიში მდებარე დანკინ დონატსის კაფების ქსელში მოლარედ. ამ დროის განმავლობაში ქალი დაუმეგობრდა ადგილობრივ მკვიდრ სიუზან ბერკს, რომელიც ყოველ დილით მასთან ყიდულობდა ყავასა და ფუნთუშას.

მიმდინარე წელს ქალს ფინანსური პრობლემები დაეწყო, რის შედეგადაც ის შვილებთან ერთად სახლის გარეშე დარჩა. როდესაც ბერკმა გაიგო მისი მძიმე მდგომარეობის შესახებ, მან მიმართა ორგანიზაციას, რომელიც იმ ადამიანების დახმარებითაა დაკავებული, რომლებიც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში ხვდებიან.

ორგანიზაციის თანამშრომლებმა ბერკის დახმარებით მოახერხეს იმის მიღწევა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯონსონის ოჯახს სახლი გადასცა სარგებლობაში. გავრცელებული ინფორმაციით, საცხოვრებელი სრულადაა გაწყობილი ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ტექნიკით.

– მადლობელი ვარ იმისთვის, რომ საკუთარი სახლი გვაქვს. სულ ვლოცულობდი და ვკითხულობდი, მოვახერხებდით თუ არა შობამდე თავის სადმე შეფარებას, – განაცხადა ქალმა ადგილობრივი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში.

# აშშ-ის სანაპიროსთან დიდმა თეთრმა ზვიგენებმა მოიყარეს თავი




აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ათეულობით დიდი თეთრი ზვიგენის, რომელიც ასევე კაციჭამია-ზვიგენის სახელითაცაა ცნობილი, თავმოყრამ სოციალური ქსელების მომხმარებლები ააფორიაქა.

პირველმა დიდი თეთრი ზვიგენი ინტერნეტმომხმარებელმა პუნიშედ-სტამ შენიშნა. მისი მონაცემებით, ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ ასეულობით მტაცებელი თევზი მიემართება. მის მიერ გამოქვეყნებულმა პოსტმა ექვსი ათასზე მეტი გაზიარება და 53 ათასი მოწონება მიიღო.

ორგანიზაცია OCEARCH, რომელიც ზვიგენების შესწავლითაა დაკავებული, ირწმუნება, რომ შეშფოთების საფუძველი არ არსებობს.

– ამ დროისთვის ჩვენ დიდი თეთრი ზვიგენების შესწავლით ვართ დაკავებული, რომლებიც ატლანტიკის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში, კანადისა და აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ბინადრობენ, – განმარტა ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

ამავე დროს, კალიფორნიის შტატის ზვიგენების კვლევის უნივერსიტეტის ლაბორატორიის დირექტორმა კრიტოფერ ლოუმ აღიარა, რომ ზამთარში ზვიგენები იშვიათად გვხვდებიან ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში. წლის ცივ პერიოდში, მისი თქმით, ზვიგენები სამხრეთით, უფრო თბილ წყლებში ამჯობინებენ ცხოვრებას. მისი ვარაუდით, ნორმიდან ასეთი გადახვევა, შესაძლოა, კლიმატის ცვლილებით იყოს გამოწვეული.

# ბოტოქსის გამო სილამაზის კონკურსიდან ათეულობით აქლემი მოხსნეს

საუდის არაბეთის ხელისუფლებამ აქლემების სილამაზის კონკურსის მონაწილეთა შორის უპრეცედენტოდ მკაცრი ღონისძიებები გაატარა. კონკურსიდან დისკვალიფიცირებულ იქნა 40 აქლემი, რომელთაც ბოტოქსის ინექცია ჰქონდათ გაკეთებული და კიდევ სხვა პროცედურები ჩატარებული.



საუდის არაბეთში პოპულარული მეფე აბდულაზიზის აქლემების ფესტივალის ფარგლებში, რომელიც დეკემბერში იმართება, სხვადასხვა ღონისძიებასთან ერთად, იმართება სილამაზის კონკურსი. საპრიზო თანხა 66 მილიონ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ბოტოქსის გაკეთება, კანის დაჭიმვა და სხვა კოსმეტიკური პროცედურები, რომელთა მიზანს ცხოველის უფრო ლამაზად წარმოჩენა წარმოადგენს, კატეგორიულად აკრძალულია. კონკურსის ორგანიზატორები გამარჯვებულს თავის ფორმის, კისრის, კუზისა და მთლიანად სხეული ფორმის მიხედვით ავლენენ.

წელს ქვეყნის ხელისუფლებამ აღმოაჩინა, რომ ცხოველების ათეულობით მეპატრონე აქლემების ტუჩებისა და ცხვირის კორექციას მიმართავდა, იყენებდნენ მკერდის კუნთების გამაძლიერებელ ჰორმონებს და ცხოველებს თავსა და ტუჩებში ბოტოქსის ინექციას უკეთებდნენ.

კონკურსის მსაჯებმა სპეციალური ტექნოლოგიები გამოიყენეს იმის დასადგენად, მოხდა თუ არა კონკურსის მონაწილე აქლემების გარეგნობის შეცვლაში ხელოვნური ჩარევა. კონკურსის ორგანიზატორების თქმით, ამგვარი მანიპულაციების ავტორები მკაცრად დაჯარიმდებიან.

აღსანიშნავია, რომ აქლემების სილამაზის კონკურსის გარდა, ფესტივალის ფარგლებში ასევე იმართება აქლემების დოღი, ვაჭრობა და სხვა ღონისძიებები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# შედეგები

## 11 დეკემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ვულვზი ..................................1:0
არსენალი-საუთჰემპტონი ................3:0
ლივერპული-ასტონ ვილა ...............1:0
ჩელსი-ლიდსი ....................................3:2
ნორვიჩი-მანჩესტერი .......................0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 16 | 12 | 2 | 2 | 33-9 | 38 |
| 2.ლივერპული | 16 | 11 | 4 | 1 | 45-12 | 37 |
| 3.ჩელსი | 16 | 11 | 3 | 2 | 38-11 | 36 |
| 4.ვესტ ჰემი | 15 | 8 | 3 | 4 | 28-19 | 27 |
| 5.მანჩესტერი | 16 | 8 | 3 | 5 | 26-24 | 27 |
| 6.არსენალი | 16 | 8 | 2 | 6 | 21-22 | 26 |
| 7.ტოტენჰემი | 14 | 8 | 1 | 5 | 16-17 | 25 |
| 8.ვულვზი | 16 | 6 | 3 | 7 | 12-14 | 21 |
| 9.ბრენტფორდი | 16 | 5 | 5 | 6 | 21-22 | 20 |
| 10.ბრაიტონი | 15 | 4 | 8 | 3 | 14-16 | 20 |
| 11.ლესტერი | 15 | 5 | 4 | 6 | 23-27 | 19 |
| 12.ასტონ ვილა | 16 | 6 | 1 | 9 | 21-25 | 19 |
| 13.ევერტონი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-25 | 18 |
| 14.კრ.პალასი | 15 | 3 | 7 | 5 | 19-21 | 16 |
| 15.ლიდსი | 16 | 3 | 7 | 6 | 17-25 | 16 |
| 16.საუთჰემპტონი | 16 | 3 | 7 | 6 | 14-24 | 16 |
| 17.უოტფორდი | 16 | 4 | 1 | 11 | 21-31 | 13 |
| 18.ბარნლი | 14 | 1 | 7 | 6 | 14-21 | 10 |
| 19.ნიუკასლი | 15 | 1 | 7 | 7 | 17-30 | 10 |
| 20.ნორვიჩი | 16 | 2 | 4 | 10 | 8-32 | 10 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჰადერფილდი-ქოვენთრი .................1:1
ბირმინგემი-კარდიფი .......................2:2
ბორნმუთი-ბლექბერნი ......................0:2
ვესტ ბრომვიჩი-რედინგი .................1:0
დერბი-ბლექპული ..............................1:0
ლუთონი-ფულემი ..............................1:1
პიტერბრო-მილუოლი ........................2:1
პრესტონი-ბარნსლი ..........................2:1
სტოკი-მილდსბრო .............................0:0
სუონსი-ნოტინგემი ...........................1:4
ჰალი-ბრისტოლი ................................2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-მაინცი .................................2:1
ბოხუმი-დორტმუნდი ........................1:1
ჰერტა-არმინია ...................................2:0
ლაიფციგი-გლადბახი ........................4:1
ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი .................1:2
ვოლფსბურგი-შტუტგარტი ..............0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 15 | 12 | 1 | 2 | 47-16 | 37 |
| 2.დორტმუნდი | 15 | 10 | 1 | 4 | 36-23 | 31 |
| 3.ლევერკუზენი | 14 | 8 | 3 | 3 | 35-19 | 27 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 15 | 8 | 2 | 5 | 32-23 | 26 |
| 5.ფრაიბურგი | 15 | 7 | 4 | 4 | 26-15 | 25 |
| 6.უნიონი | 14 | 6 | 5 | 3 | 22-20 | 23 |
| 7.ლაიფციგი | 15 | 6 | 3 | 6 | 29-19 | 21 |
| 8.მაინცი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-16 | 21 |
| 9.ბოხუმი | 15 | 6 | 2 | 7 | 16-23 | 20 |
| 10.ვოლფსბურგი | 15 | 6 | 2 | 7 | 15-22 | 20 |
| 11.კიოლნი | 15 | 4 | 7 | 4 | 23-25 | 19 |
| 12.აინტრახტი | 14 | 4 | 6 | 4 | 18-20 | 18 |
| 13.გლადბახი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-28 | 18 |
| 14.ჰერტა | 15 | 5 | 3 | 7 | 17-29 | 18 |
| 15.შტუტგარტი | 15 | 4 | 5 | 6 | 22-25 | 17 |
| 16.აუგსბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 16-25 | 16 |
| 17.არმინია | 15 | 1 | 7 | 7 | 10-22 | 10 |
| 18.ფიურტი | 14 | 0 | 1 | 13 | 12-46 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-ჰანოვერი ..................1:2
პადერბორნი-დარმშტადი ...............0:1
კილი-ზანდჰაუზენი ..........................2:2
ფორტუნა-ზ.პაული ............................1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ლევანტე ........................4:3
ალავესი-ხეტაფე ................................1:1
ვალენსია-ელჩე ..................................2:1
ბილბაო-სევილია ................................0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 16 | 12 | 3 | 1 | 37-15 | 39 |
| 2.სევილია | 16 | 10 | 4 | 2 | 26-11 | 34 |
| 3.ბეტისი | 16 | 9 | 3 | 4 | 26-18 | 30 |
| 4.ატლეტიკო | 15 | 8 | 5 | 2 | 27-16 | 29 |
| 5.სოსიედადი | 16 | 8 | 5 | 3 | 19-13 | 29 |
| 6.რაიო | 16 | 8 | 3 | 5 | 24-16 | 27 |
| 7.ვალენსია | 17 | 6 | 7 | 4 | 26-23 | 25 |
| 8.ბარსელონა | 15 | 6 | 5 | 4 | 23-17 | 23 |
| 9.ესპანიოლი | 17 | 6 | 5 | 6 | 19-18 | 23 |
| 10.ბილბაო | 17 | 4 | 9 | 4 | 13-12 | 21 |
| 11.ოსასუნა | 16 | 5 | 6 | 5 | 15-19 | 21 |
| 12.მალიორკა | 17 | 4 | 8 | 5 | 16-23 | 20 |
| 13.სელტა | 17 | 4 | 5 | 8 | 17-21 | 17 |
| 14.ვილიარეალი | 15 | 3 | 7 | 5 | 16-17 | 16 |
| 15.გრანადა | 15 | 3 | 6 | 6 | 16-23 | 15 |
| 16.ელჩე | 17 | 3 | 6 | 8 | 16-24 | 15 |
| 17.ალავესი | 16 | 4 | 3 | 9 | 13-22 | 15 |
| 18.ხეტაფე | 17 | 2 | 6 | 9 | 11-20 | 12 |
| 19.კადისი | 16 | 2 | 6 | 8 | 14-30 | 12 |
| 20.ლევანტე | 17 | 0 | 8 | 9 | 16-32 | 8 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბურგოსი-ფუენლაბრადა ..................2:0
ივიცა-ხირონა ....................................1:1
ალმერია-სარაგოსა ............................3:0
ეიბარი-მალაგა ..................................2:2
ტენერიფე-ლუგო ................................1:1

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-სალერნიტანა .............4:0
ვენეცია-იუვენტუსი ..........................1:1
უდინეზე-მილანი ...............................1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 17 | 12 | 3 | 2 | 36-19 | 39 |
| 2.ინტერი | 16 | 11 | 4 | 1 | 39-15 | 37 |
| 3.ნაპოლი | 16 | 11 | 3 | 2 | 34-12 | 36 |
| 4.ატალანტა | 16 | 10 | 4 | 2 | 35-19 | 34 |
| 5.ფიორენტინა | 17 | 10 | 0 | 7 | 31-22 | 30 |
| 6.იუვენტუსი | 17 | 8 | 4 | 5 | 23-17 | 28 |
| 7.ლაციო | 16 | 7 | 4 | 5 | 32-30 | 25 |
| 8.რომა | 16 | 8 | 1 | 7 | 24-19 | 25 |
| 9.ბოლონია | 16 | 7 | 3 | 6 | 23-27 | 24 |
| 10.ვერონა | 16 | 6 | 5 | 5 | 32-28 | 23 |
| 11.ემპოლი | 16 | 7 | 2 | 7 | 26-29 | 23 |
| 12.სასუოლო | 16 | 5 | 5 | 6 | 26-25 | 20 |
| 13.ტორინო | 16 | 5 | 4 | 7 | 20-17 | 19 |
| 14.სამპდორია | 17 | 5 | 3 | 9 | 25-33 | 18 |
| 15.უდინეზე | 17 | 3 | 8 | 6 | 22-28 | 17 |
| 16.ვენეცია | 17 | 4 | 4 | 9 | 16-30 | 16 |
| 17.სპაცია | 16 | 3 | 3 | 10 | 17-36 | 12 |
| 18.ჯენოა | 17 | 1 | 7 | 9 | 18-34 | 10 |
| 19.კალიარი | 16 | 1 | 7 | 8 | 17-30 | 10 |
| 20.სალერნიტანა | 17 | 2 | 2 | 13 | 11-37 | 8 |

**იტალია. სერია ბ**

მონცა-ფროზინონე ............................3:2
პორდენონე-კოზენცა ........................1:1
სპალი-ბრეშა ......................................0:2
ჩიტადელა-ასკოლი ...........................2:0
პიზა-ლეჩე ..........................................1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბრესტი-მონპელიე ............................0:4
რეიმსი-სტ.ეტიენი .............................2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 17 | 13 | 3 | 1 | 36-16 | 42 |
| 2.რენი | 17 | 9 | 4 | 4 | 32-14 | 31 |
| 3.მარსელი | 16 | 8 | 5 | 3 | 23-14 | 29 |
| 4.მონპელიე | 18 | 8 | 4 | 6 | 29-23 | 28 |
| 5.ნიცა | 17 | 8 | 4 | 5 | 25-15 | 27 |
| 6.ლანსი | 18 | 7 | 6 | 5 | 32-26 | 27 |
| 7.სტრასბური | 17 | 7 | 5 | 5 | 34-22 | 26 |
| 8.მონაკო | 17 | 7 | 5 | 5 | 27-20 | 26 |
| 9.ანჟე | 17 | 6 | 7 | 4 | 25-22 | 25 |
| 10.ნანტი | 18 | 7 | 4 | 7 | 24-23 | 25 |
| 11.ლილი | 17 | 6 | 6 | 5 | 23-24 | 24 |
| 12.ბრესტი | 18 | 6 | 6 | 6 | 25-27 | 24 |
| 13.ლიონი | 16 | 6 | 5 | 5 | 25-25 | 23 |
| 14.რეიმსი | 18 | 5 | 7 | 6 | 21-21 | 22 |
| 15.ტრუა | 17 | 4 | 4 | 9 | 16-25 | 16 |
| 16.ლორიანი | 17 | 3 | 6 | 8 | 13-26 | 15 |
| 17.ბორდო | 17 | 2 | 8 | 7 | 26-39 | 14 |
| 18.კლერმონი | 17 | 3 | 5 | 9 | 19-32 | 14 |
| 19.მეცი | 17 | 2 | 6 | 9 | 18-37 | 12 |
| 20.სტ.ეტიენი | 18 | 2 | 6 | 10 | 17-39 | 12 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ლე ავრი-აიაჩო ..................................0:1
ამიენი-გრენობლი .............................4:1
ვალანსიენი-პარიზი ..........................1:4
დიჟონი-ნიორი ...................................2:2
დიუნკერკი-ოსერი ............................0:2
კაენი-გენგამი .....................................2:0
ნიმი-ნანსი ..........................................2:1
პო-კევიი .............................................1:2
ბასტია-სოშო .......................................2:2

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

უტრეხტი-იგლზი ................................0:0
ჰერენვენი-სპარტა .............................0:0
ზვოლე-სიტარდი .................................0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-სანტა კლარა ...................4:1
გიმარაეში-ტონდელა ........................5:2
სპორტინგი-ბოავიშტა .......................2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-რუბინი .................................2:0
ცსკა-არსენალი ..................................2:0
როსტოვი-ურალი ................................1:4

**ბელგია. ა დივიზიონი**

კორტრაიკი-ლეუვენი .......................2:1
სტ.ტრუიდენი-სერკლი .......................1:2
ეუპენი-ბეერსხოტი ............................1:0
სერენი-ანდერლეხტი ........................0:5

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ტიროლი ........................5:0
რიდი-ალტახი .....................................2:1
ჰარტბერგი-ვოლფსბერგერი ............2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დ.იუნაიტედი-ლივინგსტონი ...........0:1
როსი-დანდი .......................................3:2
სტ.ჯონსონი-აბერდინი .....................0:1
სტ.მირენი-ჰიბერნიანი .....................1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაგუმრუქი-ქონია .........................1:4
ბაშაქშეჰირი-ქაშიმფაშა ..................2:1
რიზე-გიოზთეფე ................................3:1
ანთალია-ტრაბზონი .........................2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანათინაიკოსი-ატრომიტოსი ..........2:0
იანინა-ვოლოსი ..................................3:2
ასტერასი-აეკი ....................................0:0
პანეთოლიკოსი-იონიკოსი ...............2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჰრადეც კრალოვე-სლოვაცკო ...........2:2
ზლინი-კარვინა ...................................2:1
პარდუბიცე-ბანიკი .............................0:3
პლზენი-სლოვანი ...............................2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-ციურიხი ..............................1:3
სტ.გალენი-ლუგანო ...........................1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

რადომიაკი-ლეხი ...............................2:1
ზაგლებიე-ვისლა ...............................2:1
ლეხია-იაგელონია .............................1:2

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

პუშ.აკადემია-დირმოტი ...................3:0
ჰონვედი-ზალაეგერსეგი ..................2:2
მტკ-ფეჰერვარი .................................0:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-შახტარი ....................1:2
ვერესი-რუხი .....................................1:1
ლვოვი-ვორსკლა ...............................1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

**პლეი ოფი**

ჰელსინბორგი-ჰალმშტადი .............1:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კალათბურთის ფედერაციას ვიქტორ სანიკიძე უხელმძღვანელებს



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საერთო საარჩევნო კრებაზე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა.

ფედერაციის პრეზიდენტი ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვიქტორ სანიკიძეა, რომელიც პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო.

ვიქტორ სანიკიძეს საერთო საარჩევნო კრების სრულუფლებიანი ხმის უფლების მქონე წევრების 39-ვე დელეგატმა დაუჭირა მხარი და, შესაბამისად, სანიკიძემ საპრეზიდენტო არჩევნებში 100%-იანი მხარდაჭერით გაიმარჯვა.

**ვიქტორ სანიკიძე:**

– აუცილებლად უნდა გაიზარდოს ეროვნული ჩემპიონატის დონე, რათა უფრო მეტი საჭირო კალათბურთელი გამოიძებნოს ნაკრებისთვის. როგორც იცით, ფიბას სანაკრებო მატჩების დროს ლეგიონერთა დიდ ნაწილს არ უხერხდება საქართველოს ნაკრებში თამაში. აქედან გამომდინარე, მიწოდება ეროვნული ჩემპიონატიდან უნდა გვქონდეს. გარდა ამისა, როდესაც ვამბობთ ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებაზე გაზრდაზე, ვგულისხმობთ იმასაც, რომ მინიმუმ 2 გუნდი ევროტურნირებზე უნდა გამოვიდეს.

## ანასტასია გუბანოვამ საქართველოს ოქროს მედალი მოუპოვა



ფიგურული სტილით მოციგურავე ანასტასია გუბანოვამ, რომელმაც საქართველოს სახელით პირველ ტურნირში იასპარეზა, ხორვატიაში გამართულ ჩელენჯერის საერთაშორისო ტურნირზე ქალთა კატეგორიაში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა.

გუბანოვამ მოკლე პროგრამაში 65,68 ქულით საუკეთესო შედეგი აჩვენა, ხოლო თავისუფალ პროგრამაში (118,61) – მესამე შედეგი. საბოლოოდ, გუბანოვამ 184,29 ქულით პირველობა არავის დაუთმო.

**ანასტასია გუბანოვა:**

– ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ. ვფიქრობ, კორონავირუსის კვალია. არ გამიმართლა და ვირუსი შეჯიბრებამდე რამდენიმე კვირით ადრე შემხვდა, რის გამოც გრაცის ტურნირში გამოსვლაზე უარის თქმა მომიხდა. შესაბამისად, ტურნირისთვის მომზადება ისეთი არ გამომივიდა, როგორიც უნდა ყოფილიყო. დრო ცოტა მქონდა. ფორმა ჯერ კიდევ ვერ აღვიდგინე. კოვიდმა განსაკუთრებით ცუდად ფილტვებსა და სუნთქვაზე იმოქმედა. ამის გამო იყო, რომ პროგრამის მიწურულს ძალა აღარ მყოფნიდა. მაგრამ ეს დროის საკითხია და იმედია, ყველაფერი ნორმაში სწრაფად ჩადგება.

ბუნებრივია, ძალიან მიხარია, რომ ოქროს მოპოვება მოვახერხე, მიუხედავად იმისა, რომ იდეალურად ვერ ვისრიალე. როგორც ჩანს, ზაგრები ჩემთვის ბედნიერი ქალაქია – სამი წლის წინ აქ ახალგაზრდებში მეორე ადგილი დავიკავე, ახლა კი უფროსებში საერთაშორისო ტურნირში პირველად ვიზეიმე წარმატება.

შეგახსენებთ, რომ გუბანოვა რუსეთის სახელით გამოდიოდა, მაგრამ მოქალაქეობა შეიცვალა და საქართველოს დროშის ქვეშ ასპარეზობს.

## შავმა ლომმა რუსეთის ჩემპიონს მოუგო

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ბეს მივცეთ შანსი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოსაგებად არ გავდივართ მოედანზე. ეს იქნება გაკვეთილი იმ მორაგბეებისთვის, რომლებსაც მსგავს წნეხში აქამდე არ უთამაშიათ. მათ ნახეს, რომ მეტია გასაკეთებელი და მეტი შრომაა საჭირო. ბონუსით უნდა მოგვეგო, მაგრამ ბოლო წუთებში სანერვიულო გაგვიხდა.

გვაკლია სტაბილურობა, თანმიმდევრულობა, გადაწყვეტილებების სწორად მიღება, თუმცა გუნდის შენებას დრო სჭირდება. ჩვენი მიზანია, გვყავდეს მეტი საერთაშორისო გამოცდილების მქონე მორაგბე და შენების პროცესში ჩავარდნებიც იქნება. ნოემბერში მოთამაშეები 4 კვირის განმავლობაში გაშვებული გვყავდა და ამანაც იმოქმედა თამაშის ხარისხზე. ჩვენ ვხედავთ პრობლემას და მასზე გამუდმებით ვმუშაობთ. მიუხედავად ყველაფრისა, გავიმარჯვეთ და 4 ქულა ავიღეთ. მომდევნო თამაში ისრაელში, თელავივ ჰითთან გვაქვს და, თუ დაგეგმილი 4 ქულა იქაც ავიღეთ, ჩავთვლი, რომ პირველი ეტაპი დამაკმაყოფილებლად გავიარეთ.

**მერაბ შარიქაძე:**

– ვთვლი, რომ მოედანზე ყველა გადაწყვეტილება პრაგმატულად მივიღეთ. თამაში კარგად მიგვყავდა და, რომ არა სტატიკურ ფაზებში დაშვებული შეცდომები, დარწმუნებული ვარ, ამ თამაშს უფრო დიდი სხვაობითა და ბონუსით მოვიგებდით.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

გურამ კვიკვინია, ბადრი ლომაია, ნუგზარ ნადარაია, იურა ნადარაია, ბეჟან ნადარაია, ხვიჩა შონია, გოგიტა ჩიტაია, დემურ ბუკია, უტა ზაქარაია, საშა არჩაია, ვოვა ქანთარია, ვახტანგ კოდუა მწუხარებით იუწყებიან ქალბატონი

**მერი აბრამიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯუმბერ და გურამ კვიკვინიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამიდაშვილის

**მიმოზა ჭითანავა-ჯიქიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აუქციონ კრისტის მფლობელი; 2. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 3. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 5. უძველესი ქართული დამწერლობა; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ამერიკული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი ქართველი ბალეტმეისტერი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. კორეული დამწერლობა; 16. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. ეკვადორის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 1. აშშ-ში სახელმწიფო მდივანი; 4. კუთხე საქართველოში; 7. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 8. ჩინელი ფილოსოფოსი; 12. სახელდახელოდ, ექსპრომტად თქმული ლექსი; 13. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 15. ტბა ჯავახეთში; 17. საერთო საქმეში შეტანილი წილი; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. კონკურსის შედეგების შემფასებელ სპეციალისტთა ჯგუფი; 21. დამატებითი ჯილდო, პრემია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სკანსენი; 2. ადიდასი; 3. კინტო; 4. მეჯლისი; 5. სოპრანო; 10. გამბუზი; 11. ექსტრაქცია; 12. სიღნალი; 15. შარლემანი; 16. გრემიო; 17. პოლიცია; 20. ბანგი.

**თარაზულად:** 6. აკრედიტაცია; 7. ჰერცოგი; 8. სკოტები; 9; თეზისი; 13. სოია; 14. სქოლიო; 18. ინტერპოლი; 19. ბოდბე; 21. გაუდა; 22. კონცხი; 23. მადრიგალი; 24. გრიზაილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დაკა; 2. პოლკა; 3. გუაში; 5. ბელუჩი; 6. ლაზარეთი; 9. ლოსაბერიძე; 10. მირანგულა; 11. დილიჟანსი; 14. შოუ; 16. ზენიტი; 18. წათე.

**თარაზულად:** 1. დნეპრი; 4. იმბეცილი; 7. ძელქვა; 8. შერბური; 12. ასაჰი; 13. უშქარი; 15. ბაგეტი; 17. ერი; 19. მანსანარესი; 20. გენია; 21. ჰერეთი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1004

ევრო — 3.4932

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0919

100 რუსული რუბლი — 4.2183

## ამინდის პროგნოზი 13 დეკემბრისათვის




## ბარსელონა ტერ შტეგენის შემცვლელს ეძებს



ბარსელონაში მარკ ანდრე ტერ შტეგენის თამაშით უკმაყოფილო არიან და მის შემცვლელს აქტიურად ეძებენ.

კატალონიურ გუნდს რამდენიმე ვარიანტი აქვს, რომელთაგანაც ყველაზე რეალური აიაქსის გოლკიპერი ანდრეს ონანაა, რომელსაც აიაქსთან კონტრაქტი ზაფხულში ეწურება.

ონანამ ბარსელონაში თამაშის სურვილი გამოთქვა და, სავარაუდოდ, ეს ტრანსფერი შედგება.

## სტივენ ჯერარდი: „ენფილდზე დაბრუნება ემოციური იყო“




ასტონ ვილას მთავარმა მწვრთნელმა სტივენ ჯერარდმა განაცხადა, რომ ლივერპულის წინააღმდეგ ენფილდზე თამაში ემოციური იყო, თუმცა ის პროფესიონალია და მხოლოდ საქმეზე ფიქრობს.

ჯერარდის თქმით, მისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ასტონ ვილაა:

– ლივერპულს მთელი ცხოვრება დავუთმე და მინდა, რომ ეს გუნდი წარმატებული იყოს, თუმცა ამჟამად ჩემი ფიქრები მხოლოდ ასტონ ვილას გარშემო ტრიალებს და მსურს, გულშემატკივარმა ეს იცოდეს.

## რანგნიკმა ნორვიჩთან მოგებაზე ისაუბრა



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა ნორვიჩთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მან შესვენებაზე ფეხბურთელებს რამდენიმე მითითება მისცა, რომლებიც მათ კარგად შეასრულეს:

– პირველ ტაიმში მეტოქე გაცილებით ინტენსიური იყო და ამ კომპონენტში მათ აშკარად გვაჯობეს. შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, რომ პირველ რიგში ეს ასპექტი უნდა გამოსწორებულიყო და მათ ამის გაკეთება შეძლეს. საბოლოო ჯამში, შედეგით კმაყოფილი ვარ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



## 57 წლის ბორის ჯონსონი მამა მეშვიდედ გახდა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონსა და მის მეუღლეს კერი ჯონსონს გოგონა შეეძინათ. ბრიტანელი პოლიტიკოსი მეშვიდედ გახდა მამა.

გოგონა 9 დეკემბერს ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში დაიბადა. წყვილის პრესმდივნის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, დედა და მისი ახალშობილი გოგონა თავს კარგად გრძნობენ.

57 წლის ბორის ჯონსონი 2021 წლის მაისში დაქორწინდა. იმ მომენტისთვის მათ უკვე ჰყავდათ საერთო შვილი უილფრიდი. პოლიტიკოსის მეუღლემ ფეხმძიმობის თაობაზე განცხადება ივლისში ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა, რომელშიც ასევე აღიარა, რომ წლის დასაწყისში მუცელი მოეშალა და ნაყოფი დაკარგა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 13 დეკემბრისათვის

**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. საღამოს ახლო მეგობართან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. **კურო** – მშვიდი დღეა. სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. გარშემომყოფები თქვენთვის კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ. **ტყუპები** – სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება, ფიზიკური ვარჯიში გარგებთ. ახლობლებს მეტი სინაზით მოეპყარით. **კირჩხიბი** – გრძნობებსა და ქმედებებს შორის ბალანსი აღდგება. უარყოფითი ემოციებისაგან მშვენიერებასთან შეხება გაგათავისუფლებთ. **ლომი** – გაერთეთ, დაისვენეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ქალწული** – საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად. **სასწორი** – ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** – ბევრ საქმეს ერთად ნუ შეეჭიდებით. ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. იზრდება სასიცოცხლო და სექსუალური პოტენციალი. **თხის რქა** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ფრთხილად იყავით საქმიანი ურთიერთობებისას. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მოსამართლე განსასჯელს ეკითხება:

– რატომ არ აიყვანეთ დამცველი?

– იმიტომ, რომ ყველა დამცველი ჩემს საქმეზე უარს მეუბნებოდა, როგორც კი გაიგებდა, რომ ქრთამი მართლა არ მქონდა აღებული.

●●●

ქალს ეკითხებიან:

– რატომ არ ხარ ამდენ ხანს გათხოვილი?

– იმიტომ, რომ მინდა, მას აინტერესებდეს არა ჩემი სხეული ან ფულები, არამედ ჩემი სული!

– ეშმაკი გინდა?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ბავშვობაში რაიმე გატაცება თუ გქონია?

– რა თქმა უნდა, ფოტოგრაფიით ვიყავი გატაცებული.

– და მერე?

– მერე, დედამ იპოვა და დამიმალა.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– წარმოგიდგენია, გოგიმ იცის, რომ გათხოვილი ვარ და უკვე ნახევარი წელია მაინც ჩემთან წვება. ხედავ, როგორი ნაძირალები არიან ეს კაცები?!

●●●

სექსის შემდეგ ქალი კაცს ეკითხება:

– პროფესიით ანესთეზიოლოგი ხომ არ ხარ?

– ჰო, როგორ გამოიცანი?

– ვერაფერი ვიგრძენი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ წინა სეზონის მონაწილეები მიიწვიეს




„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეათე საიუბილეო სეზონის მორიგ საკონკურსო ტურში წინა სეზონის მონაწილეები მიიწვიეს.

შოუში დარჩენილ ვარსკვლავებს მათი კოლეგები დაეხმარებიან – ამიკო ჩოხარაძე, გიორგი გილიგაშვილი, ლიზა ყენია, ანკა ვასაძე, გია ფერაძის შვილი, ასევე გია ფერაძე...

კოლეგა ვარსკვლავების დამატების შემდეგ წყვილები საცეკვაო ნომრებს უკვე სამ-სამნი წარმოადგენენ.

## ანსამბლი „ბასიანი“ 20.000 ლარით დაჯილდოვდა



რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ 20 წლის იუბილე აღნიშნა.

ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელმა ვანო ჩხარტიშვილმა ტრადიციული ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის ანსამბლი „ბასიანი“ დააჯილდოვა ფონდის სპეციალური ჯილდოთი და წოდებით „საუკუნის ანსამბლი“ და გადასცა სიგელი და ფულადი ჯილდო 20.000 ლარის ოდენობით.

მოქანდაკე გია ჯაფარიძემ სპეციალურად „ბასიანის“ 20 წლის იუბილესთვის შექმნა მცირე ზომის ქანდაკება – „ბასიანის მადლიერების ჯილდო“. ის გადაეცათ ადამიანებს, რომლებმაც ანსამბლის წარმატებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

დაჯილდოებულთა შორის არიან ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებლები ვანო ჩხარტიშვილი და ნანა გოთუა.

## მსახიობი ნინო თუთბერიძე გარდაიცვალა



ელდარ შენგელაიას ცნობილი ფილმის „ცისფერი მთების“ ერთ-ერთი მსახიობი ნინო თუთბერიძე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მისმა შვილიშვილმა თაკო მუმლაძემ გაავრცელა:

– დაგვემშვიდობა უნიჭიერესი მსახიობი და მსოფლიოში საუკეთესო ბებო, ჩემი სულის ნაწილი და უდიდესი სიყვარული.

ეს „სეკრეტარშა“ მსახიობი ნინო თუთბერიძე გახლავთ, რომელზეც ამბობდნენ, ორ ბატს ვერ ანდობო, არადა, ცხოვრებაში ძალიან მოწესრიგებული და გეგმაზომიერი ადამიანი ყოფილა.

თუ გახსოვთ, რამდენჯერ გაქვთ ნანახი „ცისფერი მთები“-მეთქი? – ვკითხე ოდესღაც უსაშველოდ გამხდარ და კიკინიან ქერა ქალბატონს, რომელიც ერთ დროს აბსურდული დაწესებულების აბსურდული დირექტორის მდივნად „მუშაობდა“ და თვალში მოსახვედრი სიმაღლე ჰქონდა – 1,77 მეტრის იყო და 11-სანტიმეტრიან ქუსლებზე იდგა, ამიტომ მისი რეჟისორი ხანდახან „ლაშადკას“ ეძახდა.

## რეზო ჩხეიძე 95 წლის გახდებოდა



რეჟისორი რეზო ჩხეიძე 95 წლის გახდებოდა. საიუბილეო თარიღი პანდემიის გამო მისმა აღზრდილებმა მოკრძალებულად აღნიშნეს.

რეზო ჩხეიძემ მთელი თავისი ცხოვრება ქართულ კინოს მიუძღვნა და ნამდვილი შედევრები შექმნა. თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაიღო ფილმი „მაგდანას ლურჯა“ და სწორედ აქედან დაიწყო მისი წარმატებული კინოკარიერა.

„ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „მაია წყნეთელი“, „ნერგები“, „ჩვენი ეზო“ – ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც რეჟისორმა გადაიღო. მისი უკანასკნელი ფილმი აღმოჩნდა „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“. სამწუხაროდ, რეჟისორის სიცოცხლეში ფილმის ქართულად გახმოვანება ვერ მოხერხდა.

რეჟისორის ნამუშევრები სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია. მისი „ჯარისკაცის მამა“ კი მთელი მსოფლიოსთვის სამაგალითო ფილმად იქცა.

რეზო ჩხეიძე, ფილმების გადაღების პარალელურად, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი აღზრდილები რეჟისორის გზას აგრძელებენ და ხშირად იხსენებენ ადამიანს, რომელმაც მათ კინოსამყარო სულ სხვანაირად დაანახა.

რეჟისორი 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

## ლევან, ქართლოს და რამაზ ხოტივარების პრიზი დაწესდება

ცნობილი რეჟისორების ლევან, ქართლოს და რამაზ ხოტივარების სახელის უკვდავსაყოფად დაწესდება სპეციალური პრიზი „სერენადა“.



**ინფორმაცია კობა ცხაკაიამ გაავრცელა:**

– ხოტივარების კინემატოგრაფიული ოჯახის სამი თაობის წარმომადგენელთა – ლევან, ქართლოს, რამაზ (ბუბა) ხოტივარების, ზურაბ თუთბერიძის – ქართული კინოს განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და დამსახურების აღსანიშნავად თბილისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების მე-2 საერთაშორისო ინტერნეტფესტივალ „დიოგენე 2021“-ის მესვეურებმა გადაწყვიტეს, ფესტივალის ფარგლებში დაწესდეს სპეციალური პრიზი და სიგელი სახელწოდებით „სერენადა“.

ისინი გადაეცემა ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მოხვედრილ მოკლემეტრაჟიან ფილმებს, რომლებიც გამოირჩევიან კრეატიულობით, ჰუმანურობითა და იუმორით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ოსმალეთის სულთანი; 2. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა სიმღერითურთ, სრულდებოდა ახალ წელს; 3. ხელოვნური მარმარილო; 4. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 5. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 11. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 12. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს სკოლა; 15. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარტიის ერთობლიობა; 1l. პატარა იუმორისტული საესტრადო პიესა; 17. იაპონური თოჯინების თეატრი; 20. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში.

**თარაზულად:** 6. მადნეულის გამდიდრების შედეგად მიღებული პროდუქტი; 7. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 8. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 9. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 13. მუსლიმთა სასულიერო პირი; 14. გია დანელიას კინოკომედია; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. აეროპორტი პარიზში; 21. კომბინაცია პოკერში; 22. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 23. სერბი კინორეჟისორი; 24. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

